# საერთო გაზეთი

№8 (647)
ოთხშაბათი
9 მარტი,
2022წ.
ფასი 1.50 ლ.



**ვახტანგ ხარჩილავა:**

საქართველოში ომი რომ დაიწყოს, ჩვენ, ქართველები, დავკარგავთ ქართულ სახელმწიფოს, მაგრამ ნატოც, ევროკავშირიც, ამერიკაც, ზოგადად, დასავლეთიც, დაკარგავს საქართველოს – მის ერთადერთ საყრდენს რეგიონში



**რამაზ საყვარელიძე:**

ოპოზიციასაც, თუ ის ნამდვილი ოპოზიცია და არა მეხუთე კოლონა, ის მიზანი უნდა ჰქონდეს, რაც ხელისუფლებას – საქართველო ომში არ უნდა ჩაებას!

## ომი უკრაინაში – XXI საუკუნის სირცხვილი!



**ელიზბარ ჯაველიძე:**

### საქართველოს სატანის ნაშიერები უტევენ

როცა გვიჭირდა, ზელენსკი დაგვცინოდა და „შარვალში ჩასვრილებს“ გვეძახდა. ახლა ამ „შარვალში ჩასვრილებმა“ უნდა ვუშველოთ?

**კობა არაბული:**

### ზნეობრივი კრიზისი და ბრძოლა ღირსების წინააღმდეგ

### ქართული წარმოშობის ხუნვეიბინები



## დღეს ნატოს მთავარი მიზანია, შეიარაღებული კონფლიქტი არ გასცდეს უკრაინის ფარგლებს

**გელა ზედელაშვილი:**

### ომი უცნაური ატრიბუტებით, როცა ძნელი გასარკვევია, ვისი რაკეტა ვის ლულაშია...

დროზე თუ არ გავეცით პასუხი ამ ძალად მაცხონეებს, ესენი ერეკლე მეორის საფლავიდან ამოთხრასაც მოგვთხოვენ - მაგას გეორგიევსკის ტრაქტატზე აქვს ხელი მოწერილიო...



### ვინ არის დავით არახამია, იგივე მისტერ ბრაუნი?



არახამიავ, არ ხარ შენ ქართველი და ქართველობის გამო ტყუილად ნუ იწვი სირცხვილით, ბიჭო...

### რატომ ითხოვენ ჭუჭულიკა მწერლები პრემიერ-მინისტრის გადადგომას?

### „რა უთქვამს, რა მოუჩმახავს“...

რეპლიკა ნინო ბექიშვილის უდიერ გამოხდომაზე

### წინასწარმეტყველების აზრით, რა ელის მსოფლიოს ლურჯი ვეფხვის წელიწადში?

# მშვიდობა – საქართველოს გადარჩენის ერთადერთი გზა!

## საქართველოში ომი რომ დაიწყოს, ჩვენ, ქართველები, დავკარგავთ ქართულ სახელმწიფოს, მაგრამ ნატოც, ევროკავშირიც, ამერიკაც, ზოგადად, დასავლეთიც, დაკარგავს საქართველოს – მის ერთადერთ საყრდენს რეგიონში



**ვახტანგ ხარჩილავა**

საქართველოს მტერი და მოღალატეა, ყველა, ვინც დღეს ჩვენს ქვეყანას რუსეთთან დაპირისპირებისკენ უბიძგებს და ამ მიზნით ათასნაირ პროვოკაციებს უწყობს საკუთარ ქვეყანას.

ამ მავნებლობისა და უმსგავსობის მთავარი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი „ნაცმოძრაობაა“, რომელსაც ბოლო ხანებში ომის პარტიასაც უწოდებენ, თუმცა, სინამდვილეში, „ნაცმოძრაობა“ ომის პარტია კი არა, მოღალატეების, ლაჩრების, ფარისევლების, თვალთმაქცების პარტიაა, რომელსაც არც ქართველების ბედი ანაღვლებთ და არც უკრაინელების — მათ მხოლოდ ხელისუფლებაში დაბრუნების მანიაკალური სურვილი ამოძრავებთ და მზად არიან ამ სურვილის ასასრულებლად საქართველოც კი შესწირონ მსხვერპლად.

ნაციონალები ურცხვად თამაშობენ ადამიანების, განსაკუთრებით, ახალგაზრდების პატრიოტულ გრძნობებზე, ხარჯავენ დიდძალ თანხებს „თანამოაზრეების“ მოსაზიდად, მათ სამსახურშია ჩამდგარი სამი ტელევიზია და სხვა საინფორმაციო საშუალებები, რითაც ახერხებენ საქმე ისე წარმოაჩინონ, თითქოს მათ ავანტურისტულ „იდეებს“ ძალიან ბევრი მხარდამჭერი ჰყავს.

კი, მაგრამ, ვინმემ დაითვალა რაოდენობა იმ ქართველებისა, რომელთათვისაც კატეგორიულად მიუღებელია „ნაცმოძრაობის“ მიერ აგორებული მორიგი მზაკვრული გამოხტომები.



ქართველ ხალხს, ამ ჯგუფებზე ასჯერ უფრო მრავალრიცხოვანს, ნათლად აქვს გააზრებული და გაცნობიერებული, რომ მკვეთრი და ხისტი მოქმედებები მოცემულ პოლიტიკურ სიტუაციაში, შეიძლება ჩვენს ქვეყანას სახელმწიფოებრიობის დაკარგვად დაუჯდეს.

ამიტომ ქართველი ხალხის უმრავლესობა, ფაქტობრივად, საქართველოს მთელი მოსახლეობა, ერთხმად და ერთსულოვნად უჭერს მხარს იმ პოლიტიკურ ხაზს, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება მიჰყვება.

ქართველი ხალხის უმრავლესობა, ერთსულოვნად ემხრობა საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს, რომელმაც ღიად განაცხადა: **„არც ერთ გადაწყვეტილებას არ მივიღებ ისეთს, რომელიც რაიმე ფორმით დააზიანებს ქვეყნის ინტერესებს“.**

პრემიერ-მინისტრის მიერ არაერთგზის გაჟღერებულ მსგავს სახელმწიფოებრივად სწორ განცხადებებს მყისვე მოჰყვა ბინძური და აგრესიული რეპლიკები: ირაკლი ღარიბაშვილი დაუყოვნებლივ გადადგეს თანამდებობიდან! ირაკლი ღარიბაშვილო, წადი საქართველოდან!



**რატომ უნდა გადადგეს ან რატომ უნდა წავიდეს ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოდან?**

**იმიტომ რომ, საქართველოს და ქართველი ხალხის ინტერესებს იცავს?**

**მაშინ ბარემ იმ ქართველ ხალხსაც მოსთხოვეთ საქართველოდან წასვლა, რომელიც ზუსტად ისე ფიქრობს, როგორც მისი პრემიერი.**

სანამ ღარიბაშვილს მიადგებოდნენ, მანამდე ბიძინა ივანიშვილს, ქართველთა შორის საქართველოს ყველაზე დიდ მოამაგეს, ებრძოდნენ (და დღემდე ებრძვიან) ეს არამზადები.



ისინი მტრობენ ყველას, ვისაც საქართველო გულწრფელად უყვარს და ერთგულად ემსახურება.

თუმცა ტყუილად ფაფხურობენ, ეს სალახანები, ქართველი ხალხი ერთი მუჭა პროვოკატორების, მოღალატეების, უცხო ქვეყნის აგენტურის შიშით თავის პატრიოტ შვილებს არავინ დაუთმობს და არავის დააჩაგვრინებს.

დაბოლოს, ნატომ, ევროკავშირმა, ამერიკამ, ზოგადად, დასავლეთმა, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, პირველ რიგში, ქართველი ხალხის, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის ნება — **საქართველო არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს ჩვენი ქვეყნისთვის დამღუპველი ახალი ომის გაჩაღებას საქართველოს ტერიტორიაზე, რადგან ეს ომი ქართულ სახელმწიფოებრიობას შეიწირავს.**

**დიახ, საქართველოში ომი რომ დაიწყოს, ჩვენ, ქართველები, დავკარგავთ ქართულ სახელმწიფოს, მაგრამ ნატოც, ევროკავშირიც, ამერიკაც, ზოგადად, დასავლეთიც, დაკარგავს საქართველოს**, ანუ მის ერთადერთ საყრდენს რეგიონში, რადგან დასავლეთი ვერ დაგვიცავს აგრესორისგან იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს აგრესორი კარგა ხანია უკვე აქ არის და თუ მონდომა, ერთ დღეში დაამყარებს სრულ კონტროლს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

აქედან გამომდინარე, ეს ორპირი და ორმაგი სტანდარტებით მოთამაშე ნაციონალები, რუსეთთან ომისკენ რომ გვიბიძგებენ, სინამდვილეში, ჩვენთან ერთად თქვენც გიგებენ მახეს, პატივცემულო მეგობრებო დასავლეთიდან, რომ ბოლოს და ბოლოს, გაიძულონ ამ ქვეყნიდან წახვიდეთ.

ეს არის ნაციონალების მთავარი მიზანი, მთავარი დაკვეთა იმ სახელმწიფოსგან, რომელთანაც ისინი ოცი წელია ფარულად თანამშრომლობენ.









დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ: საქართველოსაც, ნატოსაც, ევროკავშირსაც, ამერიკასაც ერთი საერთო მიზანი უნდა ჰქონდეთ — შევინარჩუნოთ მშვიდობა და სტაბილურობა საქართველოში და ამით შევინარჩუნოთ ქართული სახელმწიფო.

# ოპოზიციასაც, თუ ის ნამდვილი ოპოზიციაა და არა მეხუთე კოლონა, ის მიზანი უნდა ჰქონდეს, რაც ხელისუფლებას – საქართველო ომში არ უნდა ჩაებას!

*გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:*



**— ბატონო რამაზ, უკვე ორი კვირაა რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. როგორია თქვენი პროგნოზი?**

— სიახლე არ იქნება, თუ გეტყვით, რომ ომი, ძირითადად, პუტინის პერსონალურმა ფაქტორმა განაპირობა. მისი მოტივაცია შემდეგია: ნატო, რუსეთის საზღვრებთან, მეტისმეტად, ახლოს მოდის. თუმცა, როცა პირველ ეტაპზე ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება მოხდა, ამ ქვეყნების ნატოსთან სიახლოვე აშკარა იყო. მაშინ, პუტინს ყოველივეზე რეაქცია არ ჰქონია. გაუგებარია, ახლა რამ გაახსენა ეს ამბავი. ერთი მხრივ, პოლიტიკური თვალსაზრისით ბევრი რამ შეიძლება ითქვას, მაგრამ მეორე კუთხით თუ შევხედავთ, პუტინი, ხშირად, ამბობს: ანგარიში გამიწიეთო. დიახ, მას სურს ანგარიშგასაწევი ფიგურა გახდეს. დაახლოებით, ანალოგიურად თქვა მაკრონმა: პუტინს პატივი ვცეთო. რუსეთის პრეზიდენტი ბრაზობს, რამეთუ მას შესაბამის ანგარიშს არ უწევენ. პრობლემა ის გახლავთ, რომ ყოველივე სისხლიანი შედეგების მომტანია.



**— რამდენად ლეგიტიმურია პუტინისგან, ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების შეჩერება მოსთხოვოს? როგორ მოიქცეოდა აშშ, რუსეთს მის სიახლოვეს დაბანაკება რომ მოენდომებინა?**

— ამას დიდი წარმოსახვა არ სჭირდება. ხომ ვნახეთ, როგორ მოიქცა აშშ, როცა ხრუშოვმა კუბისკენ რაკეტები დაძრა — კენედის ამერიკამ, მაშინვე, მესამე მსოფლიო ომის დაწყება გადაწყვიტა. მაშინ, მსოფლიო ბეწვზე გადარჩა, რომ ამ კრიზისის შედეგად, ახალი ომი არ დაიწყო. მსგავს მოვლენებს ამერიკა ურეაქციოდ რომ არ ტოვებს, ეს უკვე ვიცით. შეიძლება აქ, საკითხი დაისვას მეტრაჟთან დაკავშირებით, თუ რომელი უფრო ახლოსაა, კუბა — ამერიკასთან თუ ბალტიისპირეთი — რუსეთთან და რამდენ ხანში დაფარავს რაკეტა მანძილს ერთ ან მეორე შემთხვევაში, მაგრამ ფაქტია, ასეთ მოვლენებზე ორივე სახელმწიფო რეაგირებს.

**— ომის შედეგებზე რას გვეტყვით, ძაღლის თავი უფრო ღრმად ხომ არ მარხია?**

— სიახლეები, ალბათ, ბევრი იქნება. სხვა თუ არაფერი, მთელი დასავლეთის მხრიდან სახელმწიფოების ისეთ ანტირუსულ გაერთიანებას ვხედავთ, რომლის მსგავსი პრეცედენტის პოვნა ძნელია. ამ მასშტაბის გაერთიანება, მეორე მსოფლიო ომის დროსაც კი არ ყოფილა. რაც მთავარია, გაერთიანება ხდება არა სამხედრო, როგორც მეორე მსოფლიო ომის დროს, არამედ წმინდა ეკონომიკური კუთხით. ეს ახალი მოვლენაა. მსოფლიომ ჯერ არ იცის, რისი მომტანი იქნება ამ ტიპის ეკონომიკური სადამსჯელო ნაბიჯები. ჩვენ ვიცით, რა შედეგები აქვს სამხედრო სადამსჯელო ოპერაციებს, მაგრამ ეკონომიკური კუთხით, ცნობილი არაფერია, პრეცედენტი არ ყოფილა. ვერსიის დონეზე, შეგვიძლია ვარაუდი გამოვთქვათ. პრინციპში რუსეთის ეკონომიკა მიგვითითებს, თუ რას უქადის მას აღნიშნული სადამსჯელო ოპერაციები — პრაქტიკულად, რუბლი, აქციების ფასი, ყოველდღიურად, მცირდება, რუსეთში მცხოვრები მდიდარი ადამიანები ტრილიონებს კარგავენ. იმ პერსპექტივის ფონზე, რომ ეს ხალხი მთელ დაგროვილ ქონებას კარგავს, რა მოხდება, ძნელი სათქმელია. სანქციების შინაარსი, ერთი მხრივ, შემდეგია: მოახდინონ პუტინის, უშუალო, გარემოცვის სტიმულირება საიმისოდ, რომ მათ რუსეთის პრეზიდენტი ჩამოაგდონ. ანუ, მოხდება გადატრიალება, პუტინს მოკლავენ თუ სხვა რა სცენარი გათამაშდება, მათთვის სულერთია. მთავარია, პუტინი რუსეთის მეთაური აღარ იყოს. აი, ამიტომ, ხდება მისი გარემოცვის და პირადად მისი ფინანსური შევიწროვება. მიაღწევს თუ არა დასავლეთი ამ შედეგს, ძნელი სათქმელია, რადგან გამორიცხული არ არის კედელთან მიმწყვდეულმა ადამიანმა, მსოფლიო შემზარავი შედეგებით გააოგნოს. ანუ, პუტინი, ახლა, ალყაშია მოქცეული. რა ხდება იმ დროს, როცა ადამიანი ალყაშია? — იგი, ყუმბარას იღებს და ყვირის: თავსაც ავიფეთქებ და თქვენც, აგაფეთქებთო. ასე, რომ ამ სიტუაციამ შესაძლოა პუტინს სწორედ ასეთი უკიდურესი, არარაციონალური ნაბიჯისკენ უბიძგოს. მას ხომ ატომური იარაღი აქვს. სწორედ ეს იარაღი შეიძლება აღმოჩნდეს ის „ყუმბარა", რაც ახლა ვახსენე. ამავე დროს, მან აშკარად, ნადირობა დაიწყო ატომურ ელექტროსადგურებზე. მიზანში უკრაინის ატომური ელექტროსადგურები ამოიღო და იმუქრება, რომ მათ ბომბს ესვრის. დიახ, პუტინს თუ გაუჭირდა, შეიძლება, ელექტროსადგური ააფეთქოს და მერე, თქვას: უკრაინელმა ნაციონალისტებმა გააკეთესო, რაც იქნება ჩერნობილის ტრაგედია აყვანილი კვადრატში. ეს, უკვე, სულ სხვა სცენარია, რომლის არსებობას ყველა გრძნობს.

**— როგორ ფიქრობთ, ნეიტრალიტეტის გამოცხადება არის გამოსავალი?**

— ძნელი სათქმელია, რადგან პუტინმა განაცხადა: ზელენსკისთან არ დავილაპარაკებო. ნეიტრალიტეტის თემაც ხომ უმაღლესი დონის შეხვედრას მოითხოვს. პუტინი უარს ამბობს, რითაც იგივეს აკეთებს, რასაც დასავლეთი მის მიმართ. დიახ, როგორც ვახსენე: დასავლეთი ცდილობს ისეთი სიტუაცია შექმნას, რომ პუტინის გარემოცვამ მისი მოშორება გადაწყვიტოს. ზელენსკისთან შეხვედრაზე უარის თქმით, პუტინიც ისეთ სიტუაციას ქმნის, რომ უკრაინის პრეზიდენტის გარემოცვაც და მხარდამჭერებიც შეიძლება მისი გადაყენებით დაინტერესდნენ. ასე, რომ ფაქტობრივად, ორივე მხარე ერთნაირი შინაარსის დარტყმებს აკეთებენ, რომლის სვლა იქნება შედეგიანი, ძნელი სათქმელია.

**— ზელენსკიმ საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებას მოხალისეების არგაგზავნასთან დაკავშირებით ამორალური უწოდა და ელჩი გაიწვია. როგორ აფასებთ, ამ ნაბიჯს?**

— დიდი ეჭვი მაქვს, რომ ზელენსკი სააკაშვილის და მისი თანაგუნდელების მოსაზრებების მონურ ტყვეობაშია. თუ „ნაციონალური მოძრაობის" პოლიტიკოსების მიმართ მის დამოკიდებულებას გავითვალისწინებთ, ეს გასაკვირი აღარ იქნება. ნუ დაგვავიწყდება, რომ მოთხოვნის მიუხედავად, მან სააკაშვილი ქართულ მართლმსაჯულებას არ გადმოსცა. ასევე, არ გადმოსცა დამნაშავე გუნდის დანარჩენი წევრებიც, რომლებიც მას გვერდს უმშვენებენ და უკრაინაში საკმაოდ მაღალ თანამდებობებს იკავებენ. ქართული ხელისუფლების მიმართ ზელენსკის ამგვარი დამოკიდებულება სწორედ სააკაშვილის გუნდის გავლენით შეიძლება ავხსნათ, რომლის პირშიო, როგორც სააკაშვილი ტრაბახობს, არახამიაა. იგი, ზელენსკისთან დაახლოებული პირია. თუ უკრაინის პრეზიდენტის სიახლობლოში მსგავსი პირები არიან, ბუნებრივია, იგი მათ ნათქვამს უჯერებს. ხომ წარმოგიდგენიათ, რას უყვებიან საქართველოს ხელისუფლებაზე „ნაციონალები" უკრაინის პრეზიდენტს. წეღან, ხომ გავიხსენე, თურმე როგორ დამარცხდა აქ, სააკაშვილი პუტინის ფულით, თორემ ქართველი ხალხი მის გაპრეზიდენტებაზე ოცნებობს. აი ამ ტყუილებით იკვებება ზელენსკიც და ქართულ სინამდვილეს ნაციონალების თვალით ხედავს.

**— პუტინმა განაცხადა: მეზობელი ქვეყნების მხრიდან მეგობრული დამოკიდებულება თუ არ იქნება, პასუხიც შესაბამისი გაეცემაო. ამ ფონზე, ეს პროვოკატორები, აქ, ახალი კერის გაჩაღებას ცდილობენ.**

— კი ბატონო ასეა. ზელენსკიც ხომ ხედავთ მათ აჰყოლია და ელჩი გაიწვია. რუსეთს ყველაზე მეტად ბელორუსია ეხმარება, მაგრამ მას ამ ქვეყნიდან ელჩი არ გაუწვევია. ამიტომ, არ მგონია ზელენსკის ნაბიჯებში ლოგიკის ძებნა მართებული იყოს. მისი ქმედებები უფრო ემოციებით არის ნაკარნახევი, რაც მასში ჩანერგეს და ააყვავეს მის გარშემო მყოფმა „ნაციონალებმა".

**— რუსეთ-უკრაინის ომს 2008 წლის მოვლენებთან აიგივებენ. მიშა იძახის: ხომ ხედავთ, რუსები უკრაინაში მშვიდობიან მოსახლეობას ხოცავენ, მეც, ტყუილად მაბრალებდით ომის დაწყებასო. როგორია რეალობა?**

— ახლა, ვახსენეთ: პუტინს საბაბი არ უნდა მივცეთ, ომში ჩართულობაში დაგვადანაშაულოსო. 2008 წელს სააკაშვილმა რუსეთს ცხინვალზე შეტევით საბაბი მისცა. ამიტომაც, ტალიავინის კომისია დასჭირდათ, რათა გაერკვიათ: რუსეთმა მიიტანა საქართველოზე იერიში თუ არა; ანუ, რუსეთი დამნაშავე იყო თუ არა. ახლა, უკრაინაში მსგავსი რამ რომ მომხდარიყო — უკრაინელები შეტევაზე გადასულიყვნენ, ლუგანსკის და დონეცკის ტერიტორია აეთვისებინათ და მერე, რუსეთის საზღვართან მისულიყვნენ, ისევ გაჩნდებოდა კითხვის ნიშანი — ვინ, ვის შეუტია. ასეთ შემთხვევაში, უკრაინისთვის მსგავსი ფართო მხარდაჭერის აღმოჩენაც აღარ იქნებოდა ადვილი, რადგან ვერ გაარკვევდნენ — ვინ არის დამნაშავე. 2008 წელს კი ასეთი გაურკვევლობა სააკაშვილის გადადგმულმა ნაბიჯებმა გამოიწვია. სწორედ ამიტომ გაჩნდა კითხვა — ვინ დაიწყო ომი? დიახ, ომის დამწყებმა გააჩინა საბაბი იმისა, რომ რუსეთის მხრიდან საპასუხო ნაბიჯები განხორციელებულიყო. რუსეთს ომი რომ დაეწყო, მაშინ იგი წმინდა წყლის აგრესორი იქნებოდა. მაგრამ რადგან რუსეთმა მხოლოდ რეაქცია მისცა, 2008 წელს მისი აგრესორად შეფასება, მსოფლიოს გაუჭირდა. მაგრამ ამჟერად, რუსეთმა ასეთი საბაბი აღარ გამოიყენა და პირდაპირ, საზღვარზე გადავიდა. ამიტომ, ყველამ აღნიშნა, რომ იგი, აგრესორია.

**— საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთისთვის სანქციების დაწესებაზე უარი განაცხადა. ეს ნაბიჯი რამდენად მართებულია?**

— რა თქმა უნდა, მართებულია თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ არ ვართ იმ მასშტაბის ქვეყანა, რომლის მიერ დაწესებული სანქციებიც რუსეთის ბედ-იღბალზე იმოქმედებს. ასეთი ქმედება რუსეთისთვის შეიძლება ისევ საბაბი აღმოჩნდეს. იგი, ჯერ არ დამარცხებულა და კიდევ, რას მოიმოქმედებს კაცმა არ იცის. ასე, რომ ოპოზიციის მოთხოვნა სწორედ იმის პროვოცირებაა, რომ საქართველომ რუსეთის უკმაყოფილება გამოიწვიოს. ახლა, ვიღაც იტყვის: უკრაინაში ხალხი იბრძვის და შენ, უკმაყოფილების გამოწვევასაც ერიდებიო. საქმე ისაა, რომ უკრაინაში ხალხი იბრძვის, მაგრამ საქართველოში ვითარება თუ შეიცვალა და უკრაინამ ბრძოლა გადაწყვიტა, ეს უკრაინელების ბრძოლა აღარ იქნება. არმია რომელიც ცხინვალში იყო, ახლაც ჩრდილო-კავკასიაშია, შორს არ წასულა. ცხინვალისა და აფხაზეთის ბაზიდან სამხედრო ფორმირებები ერთ საათში საქართველოს ცენტრში აღმოჩნდებიან.

**— ოპოზიცია ხელისუფლებას მოღალატეს უწოდებს: რუსეთს სანქციები არ დაუწესაო. 2008 წელს ხელისუფლებაში იყვნენ და თუ გახსენდებათ, თავად რა სანქციები დააწესეს მაშინ რუსეთის მიმართ?**

— ახლა, ძალიან კარგი კითხვა დასვით. სანქციები დააწესეს კი არა, ყველა საკვანძო ობიექტი რუსეთს მფლობელობაში გადასცეს. ყველას გვახსოვს იმ ობიექტების უზარმაზარი ჩამონათვალი, რაც ნაცებმა რუსეთს გადასცეს. აი, ეს იყო იმდროინდელი სანქციები. ფაქტობრივად, გამოვიდა, რომ 2008 წლის ომის შემდეგ სააკაშვილის ხელისუფლებამ სანქციები საქართველოს დაუწესა. მეტი რაღა სანქცია გვინდა — საქართველოს ტერიტორიების 20% ოკუპირებულია. ასე, რომ რუსეთის სანქციები უფრო თვალსაჩინოა. ანალოგიური პრობლემები ქვეყანამ თავისი საგრეო პოლიტიკიდან გამომდინარე უნდა გადაწყვიტოს. სასურველია, საქართველო, ამ შემთხვევაში, ერთიანი იყოს. ანუ, ოპოზიცია გაჩუმდეს! ხომ ვხედავთ, უკრაინაში ოპოზიცია საერთოდ არ ჩანს, ყველა ერთნაირად იბრძვის. ჩვენ, ახლა, საქართველოში, აგრეთვე, ბრძოლა გვაქვს, ოღონდ, ვიბრძვით იმისთვის, რომ ომში არ ჩავებათ. ეს ბრძოლა, წესით, ერთნაირად ეხება ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც. თუ ოპოზიციას იგივე ამოცანა არ აქვს, რაც ხელისუფლებას — საქართველო ომში არ ჩაებას, მაშინ ეს, რბილად რომ ვთქვათ, ოპოზიცია არ არის. ფაქტი ერთია, ოპოზიციის მოთხოვნები თუ დაკმაყოფილდება, საქართველო უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდება.

თამარ შველიძე
555 23 28 24

# საქართველოს სატანის ნაშიერები უტევენ

**● ხელისუფლებას მოვუწოდებ: დაამთავროს „ნაციონალების" პარპაში, თორემ ამას ქართველი ხალხი გააკეთებს!**

**● როცა გვიჭირდა, ზელენსკი დაგვცინოდა და „შარვალში ჩასვრილებს" გვეძახდა. ახლა ამ „შარვალში ჩასვრილებმა" უნდა ვუშველოთ?**



*გვესაუბრება მწერალი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე:*

**— ბატონო ელიზბარ, ოპოზიცია, კვლავ, ქვეყნის ომში ჩათრევას ცდილობს. ჩვენი ოპოზიციონერები ხან დასავლეთში, ხან უკრაინაში დარბიან და საქართველოს ხელისუფლების ლანძღვა-გინებით არიან დაკავებულნი.**

— მოდით, ასე დავიწყოთ: ჩვენი ქვეყნის, სახელმწიფოს ამჟამინდელი მდგომარეობა სავალალოა. ქართველთა ერთმა ნაწილმა ღირსება



დაკარგა, მისთვის სულერთია ქვეყანა იარსებებს თუ არა. მთავარი პრინციპი მავანისთვის საკუთარი თავის განდიდება, მეობის წარმოჩენა, სახელმწიფოს სათავეში მოქცევა და სიმდიდრის მოხვეჭაა. აი, რა ამოძრავებს „ნაცმოძრაობად" წოდებულ ოპოზიციას. განა, გიკვირთ: აქეთ-იქეთ რომ დარბიან და ქვეყნის ლანძღვა-გინებით არიან დაკავებულნი?! ეს ხომ სინამდვილეში ოპოზიცია არ არის, არამედ ქვეყნის გამოკვეთილი მტერია. მათ მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი, ხელისუფლებასა თუ ოპოზიციაში ყოფნისას, საქართველოსთვის მხოლოდ ზიანის მომტანი იყო და სხვა არაფერი. სააკაშვილი ე.წ. ვარდების რევოლუციის გზით მობრძანდა. ამერიკის საგარეო პოლიტიკის თანახმად, ფერადი რევოლუციები უნდა მომხდარიყო, რათა ყველა ერთ ქვაბში მოვხარშულიყავით, დაგვევიწყებინა საკუთარი გვარი, ჯიში, ჯილაგი. ანუ, ნეოლიბერალური მიდგომებით უნდა გვესულდგმულა. უბედურება ისაა, რომ სააკაშვილმა — ტიპიურმა კალიგულამ ყველაფერი გაანადგურა, მათ შორის, თავისუფლება, სამშობლოს სიყვარულიც მოსპო. არადა, ამერიკამ ეს ქვეყნის გამანადგურებელი კავკასიის „დემოკრატიის შუქურად" გამოაცხადა. ჩვენს ოპოზიციას დემოკრატია თავისუფლება ჰგონია. გააჩნია, ეს ცნება ვის როგორ ესმის. მერაბ კოსტავა ამბობდა: საპატიმროში ყოფნისას ბევრად თავისუფალი ვიყავიო. იგი, ამ სიტყვაში შინაგან თავისუფლებას გულისხმობდა. ნაცებისთვის თავისუფლება ცხოველურ ყოფასთან არის გაიგივებული. ადამიანი რით განსხვავდება ცხოველისგან? — იგი, სოციალური არსებაა, საზოგადოების წევრია და გარკვეულ მორალურ, ეთიკურ ჩარჩოებს არ სცდება. ნაცები მორალისგან და ზნეობისგან დაცლილნი არიან. მიშას მიმდევარ კაცებს მე, მიხუინებს ვეძახი. ქალებსაც დავარქვი სახელი. ნეოლიბერალურმა ძალამ გამოაცხადა: არ შეიძლება ქალს სახელი ვუწოდოთ, არამედ იგი არის არსება, რომელსაც აქვს თვიური ანუ მენსტრუაციაო. ამიტომ, მიშას თანამოაზრე ქალბატონებს, რომლებიც წივიან და კივიან მენსტრუალიებს ვეძახი. ამ ხალხს სათავეში უგვანო, ჭკუისგან სრულიად დაცლილი სააკაშვილი უდგას. რაც უფრო მეტად შედის ასაკში, მისი ტვინი მით უფრო თხელდება და ალბათ, მალე, მას საგიჟის თეთრ ხალათსაც ჩააცმევენ. გიჟები ზოგი ნაპოლეონად აცხადებს თავს, ზოგი არისტოტელედ და ა.შ. სააკაშვილმა უკვე გამოაცხადა თავი დავით აღმაშენებლად, ბოლო დროს გამსახურდიასაც ედრებოდა. აი, ასეთი გიჟის ჭკუაზე დადის საზოგადოების ნაწილი, რაც ყოვლად გაუგებარია. ბიძინა ივანიშვილმა — დიდებულმა ქართველმა, რომელიც საქართველოს ისტორიაში ქველმოქმედად შევიდა (მისი მსგავსი არავინ მეგულება), ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ნაცები პოლიტიკიდან განედევნა და ქართველი ერი ამ ჭირისგან გაეთავისუფლებინა. მაგრამ გარე-ძალების მეშვეობით, თავს კოაბიტაცია მოგვახვიეს. შედეგად, სოროში შემძვრალი სოროსელები მზის გულზე გამოძვრნენ და ყიყინი დაიწყეს. ჩემი აზრით, ისინი ადამიანის მოდგმისანი არ არიან, არამედ სატანის ნაშობნი, რომელთა ერთადერთი მიზანი საქართველოს, ქართველი ერის მოსპობაა. უსუფაშვილმა პარლამენტის თავმჯდომარეობის დროს, გამოგვიცხადა: ჩვენი მთავარი მიზანი ნაცების გადარჩენააო. აი, აქედან იწყება ჩვენი უბედურება. ამ დროს, უსუფაშვილი დგას და კიდევ ჭკუას გვასწავლის.

**— როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორია ხელისუფლების დღევანდელი პოზიცია რუსეთის მიმართ?**

— ხელისუფლების პოზიცია, ჩემთვის, სავსებით მისაღებია. ასე უნდა იყოს ნებისმიერი ჭეშმარიტი ქართველისთვის. ახლა, ბეწვის ხიდზე გავდივართ, ყოფნა-არყოფნის საკითხი ძალიან მწვავედ დგას. საუკუნეების მანძილზე ისმოდა კითხვა: გადარჩებოდა თუ არა ქართველობა. ქართველ კაცს, რომელიც ყანას თოხნიდა, იქვე, თოფიც ეკიდა და სამშობლოს იცავდა. დღეს რა ხდება? — სამშობლო მივიწყებული სიტყვა გახდა, აღარავინ ახსენებს. პირიქით, პარლამენტმა კანონი დაიწუნა, სადაც ლექსიკური ერთეული — სამშობლო იყო ნახსენები. საინტერესოა, ასეთი დამოკიდებულება საიდან გაჩნდა? — ეს გახლავთ ნეოლიბერალური მიდგომა, რამაც ე.წ. ცრუ პოლიტიკური ძალა შექმნა, იგივე, ვარდების რევოლუცია. სინამდვილეში, ეს შპრიცების ანუ, მორფინისტების რევოლუცია გახლდათ. იმიტომ, რომ ჩემი თვალით ვნახე, იქ, რამდენი შპრიცი ეყარა. შპრიცების რევოლუციის მქადაგებლები, დღეს, გამოდიან და ჭკუას გვასწავლიან. სააკაშვილი უკრაინაში ყოფნისას, თურმე, ამყობდა: ყველა ქართველი დავიბარე ვინც ცოტაოდენი ფული იშოვა და ვაიძულე სახელმწიფოსთვის თანხა გადეხადა, წინააღმდეგ შემთხვევაში ციხეში მივაბრძანებდიო. რასაც იგი აკეთებდა, უკიდურეს ფაშისტსაც არ უკადრებია — ადამიანებს წამებით კლავდა. ფაშისტები ხალხს ეუბნებოდნენ: აბანოში მიგვყევართო და მერე, გაზით ხოცავდნენ. მერწმუნეთ, ეს ნაკლები ბოროტებაა, ვიდრე ის, რასაც სააკაშვილი აკეთებდა — მისი მითითებით კაცს მაგიდაზე აბამდნენ და ცოლ-შვილის თვალწინ აუპატიურებდნენ. 150-მდე ახალგაზრდა ქუჩაში ჩახოცა. სააკაშვილის მითითებით მოკლეს გურამ შარაძე, აღარაფერს ვამბობ ზურაბ ჟვანიაზე. შარაძე ეროვნული კაცი იყო. ამით გვითხრეს: არავის დავინდობთ, ვისაც საქართველო უყვარს და მის გამო თავს გასწირავსო. გურამ შარაძე დღისით, მზისით ორი საათი სისხლში იწვა და ახლოს არავინ მიაკარეს. ვიღაცებმა მითხრეს: შენ, პირდაპირ ლაპარაკი გიყვარს და გაჩუნდი, თორემ, ამ შემთხვევაში, არ დაგინდობთო. მე, პანაშვიდიდან გამოვედი და ჟურნალისტებს განვუცხადე: შარაძე ხელისუფლების მიერ, პირადად სააკაშვილის მითითებით არის მოკლული-მეთქი. მიშამ ორჯერ, უმიზეზოდ დააკავა გურამ შარაძე და ორ-ორი კვირით ციხეში ჩასვა. მაინც რომ ვერაფერს გახდა, მერე, მოკლა. ამით ჩვენ შეგვაშინა: თქვენც, ასე მოგივათო. ამ სისასტიკის სულისჩამდგმელი ნაძირლები, ჩვენც სულის ამოხდით გვემუქრებოდნენ, დღეს კიდევ, ჭკუას გვარიგებენ. ვინ არიან ეს მიხუინები? — პირველ რიგში, ბოკერია, რომელიც ქვეყნის ყველაზე დიდი მტერია, მაგრამ ჩუმი. ასევე, უგულავა, რომელმაც მილიონები მოიპარა და ახლა, აქეთ მოძღვრავს ხელისუფლებას: რას სჩადიხართო. უგულავა „კმარას" ნაბიჭვარია და ახლა, ვაჟკაცობს, ისე იჭინთება მეშინია, არაფერი გაეპაროს. ასპარეზზე გამოჩნდა მელიაც. რბილად რომ ვთქვა, მეცოდება. მას წარმოდგენა არ აქვს რა არის ქვეყანა, სამშობლო. თუ ვინმე დამიმტკიცებს, რომ ერთი წიგნი მაინც აქვს წაკითხული, ხმას აღარ ამოვიღებ. აქტიურობს გოცირიძეც, რომელმაც მთელი ჩვენი ნაშრომი, თავის დროზე, კუპონად გვიქცია. თავად, ნაცებმა სატვირთო მანქანით გაიტანეს დოლარები და გაინაწილეს. ვინ მისცა გოცირიძეს დოქტორის ხარისხი, ეს არ ვიცი, მაგრამ დასაჭერი რომ არის, ფაქტია. ახლა, მეცნიერებათა აკადემიას გადმოსწვდა და მიწასთან გაასწორა. თურმე, ჩვენ, დარმაედები ვართ და ფულს ტყუილად ვხარჯავთ. დღევანდელი აკადემია ზნეობისა და ეროვნულობის ტაძარია. რამდენი ნაშრომია გამოცემული ქართულად, ჩინურად, ინგლისურად, ვერც დაითვლით. ერთი წიგნი მაინც თუ აქვთ, ნეტა, წაკითხული. ჩვენი ბიუჯეტი სამი მილიონია მაშინ, როცა ეკა გიგაურის წლიური შემოსავალი 14 მილიონს შეადგენს. გეკითხებით: ეს არის ქვეყანა? — ვიღაც ნაძირალას, რომელიც საკუთარ გზას ისე გადის, რომ ქართულ სახელმწიფოს მიწას უთხრის, მილიონები აქვს და ჩვენ, ამას ყურადღებას არ ვაქცევთ. ჩემი აზრით, ყველა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები არა იდეური მოღალატეები, არამედ ფულით გაყიდულნი არიან. დღევანდელი ცხოვრება ფულზეა აგებული. აქეთ, კობა ნაყოფია ავიღოთ, რომელმაც ქვეყანა გადაჭამა. მერე, თავის მოგებას სააკაშვილს უყოფს. აი, ეს ხალხი გამოდის დღეს და ღარიბაშვილს კიცხავს. **იცით, რატომ ებრძვიან პრემიერს? — იგი, ჭეშმარიტი პატრიოტია.** სრულებით არ ჰგავს გახარიას, რომელიც ნაცებს ეუბნებოდა: მე, თქვენ დაგამთავრებთო და მერე, აქეთ, ჩვენი დამთავრება მოინდომა. ღარიბაშვილმა კი თქვა: ქართული ოჯახი არის ქალი და მამაკაცი; ნაცები ნაძირლები არიან და მათთან საუბარი არ შეიძლება, სანამ არ მოისპობიან არაფერი გვეშველება; და, მესამე, ქართული განათლება დიდგორიდან უნდა დავიწყოთო. ნაცები ასეთ ადამიანს ეძახიან: წადი, თავმოყვარეობა გაქვს შერცხვენილიო. ვინ ამბობს ამას? — ბოდიში მომითხოვია და







ეს ამორალური დედაკაცები, ხომ. სამადაშვილი, რომელიც სინამდვილეში სამადოვია. „სამად“ არაბულად ნიშნავს ცარიელს, დაცლილს. ეს ბრიყვი, ესა. შეხედავ და შემწვარ გოჭს მიუგავს ცხვირ-პირი, კაცი არ ეკარება, ლტოლვას განიცდის, ვერ კმაყოფილდება და ვითომ, ჭკუას მიემალა, არადა, რეებს ბოდავს. ახლა, ხატია დეკანოიძე ავიღოთ, რომელიც ცხრა ღობეზეა გადამხტარი. მთელი უბედურება ისაა, რომ იგი კიევში მილიციის უფროსი გახლდათ. ხალხო დავფიქრდეთ, ვისთან გვაქვს საქმე. აღარაფერს ვამბობ ხოშტარიაზე, რომელსაც თვალებში ჩახედავთ და პირდაპირ, აშკარაა, რომ ნორმალური არ არის. მას კაგებეს სკოლა აქვს გავლილი. იგი, საქართველოს გამოკვეთილი მტერია. რაც მამაა, ის არის შვილიც. მამამისი გამსახურდიაზე იყო გაბრაზებული, რომელმაც საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა და მერე, გაუშვა. ზვიადი რომ მიდიოდა, ხოშტარია ყვიროდა: ცოცხალი არ გაუშვათო. აი, ამ კაცის შვილია. ბოკუჩავა გარეგნულად ნაზი და ნარნარია, მაგრამ თუ იფეთქა, ისტერიკაში ვარდება და ლამის ტანზე ყველაფერი შემოიძარცვოს. კულმინაცია გახლავთ თაკო — ჯანსუღ ჩარკვიანის ქალიშვილი, რომელიც ამ გიჟების ქმედებებს აგვირგვინებს. აი, ეს ხალხი ითხოვს ღარიბაშვილის გადადგომას. ეს მართლაც უნამუსო, სინდისგარეცხილი, სამარცხვინო ხალხი ამბობს: ღარიბაშვილმა შეგვარცხვინაო. წარმოგიდგენიათ, რა ხდება. მათ ვურჩევ: როცა ღარიბაშვილის სახელს ახსენებენ, პირი კარგად გამოირეცხონ, კბილებიც გაიხეხონ. პრემიერი ერთ-ერთია, ვინც ეროვნულ პოზიციებს იცავს. ნაცები და მისი განშტოებები, თურმე, თავისუფლებისთვის იბრძვიან. დიახ, იმ ცხოველური თავისუფლებისთვის, რაზეც ზემოთ ვისაუბრე. განა, ვინმე უშლის კახპობას და საყვარლების ყოლას?! მაგრამ საქართველოს მოსპობას ვერ ეღირსებიან. **პირდაპირ ვაცხადებ: სანამ ეს ნალექი, ჭაობი საქართველოს არ მოშორდება, არაფერი გვეშველება. ნაცები უნდა მოიკვეთონ, განიდევნონ. მათთან ენის ჩლექვით ლაპარაკი საჭირო არ არის.** ეს ვითომ დიდი მოაზროვნე, პრეზიდენტი რომ ცდილობს მათთან შერიგებას, რა გვაქვს მკვლელებთან საერთო?! არ მინდა, ახლა, ზურაბიშვილზე ვილაპარაკო, თორემ, მის შესახებ ისეთებს გეტყვით, თმები ყალყზე დაგიდგებათ.

**— ბატონო ელიზბარ, ზელენსკიმ საქართველოდან ელჩი გაიწვია. როგორ შეაფასებთ ამ ნაბიჯს?**

— ირაკლი კობახიძემ ნათლად ჩამოაყალიბა თუ რას უკავშირდება საქართველოდან ზელენსკის მიერ ელჩის გაწვევა. არადა, უკრაინელებს, უკანასკნელი თანხები გავიღეთ და დავეხმარეთ. ორიოდ სიტყვა იმ ახალგაზრდებზე მინდა გითხრათ, ქუჩაში რომ გამოდიან, ვითომ, პროტესტის ნიშნად და დროშებს აფრიალებენ. კი ბატონო, მხარდაჭერა უნდა გამოვხატოთ, მაგრამ ამ ახალგაზრდებს მინდა ვკითხო:



**მათ, თუ იციან, როდესაც ჩვენ, აქ, გვხოცავდნენ, გვაფეთქებდნენ, გვიჭერდნენ, რომელი უკრაინელი დაგვიდგა მხარში, ვინმემ, საერთოდ, ხმა ამოიღო?! პრეზიდენტი იუშჩენკო კი ჩამოვიდა, მაგრამ მას მერე რაც უკვე პრობლემა გადაწყვეტილი იყო.** მეტსაც გეტყვით, ყველა, საქართველოდან გაგდებული ჩვენი მტერი, უკრაინამ შეიფარა. ადეიშვილიდან დაწყებული, ყველას დიდი თანამდებობა ჩააბარეს. როგორ ვიწამო იმ ახალგაზრდების, რომლებიც რუსთაველზე დგანან და ამბობენ: ჩვენ, თურმე, ბრძოლა არ გვცოდნია და აი, უკრაინელი ხალხი კი შეხედეთ, სამშობლოს დასაცავად როგორ იბრძვისო. მათ მინდა ვუთხრა: როცა ქვეყნიერებას ჯერ კიდევ მოვლენილი არ იყვნენ, ჩვენ მაშინ ხმალამოღებული ვიბრძოდით. ქართველის ვაჟკაცობის და სამშობლოსთვის თავგანწირვის შესახებ, არაფერი გაუგიათ?! თუკი ვინმემ დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის ბრძოლა დაიწყო, ეს ქართველები იყვნენ. პირველებმა, ამ კუთხით, გამარჯვებას სწორედ ქართველებმა მივაღწიეთ. მაგრამ როდესაც ჩვენ, სააკაშვილის სისულელის გამო თავს დაგვესხნენ, ხუთ დღეში დაგვბომბეს, მიწასთან გაგვასწორეს. დავით ბაქრაძე სულელი მაშინ გვეუბნებოდა: ქართველებო, გამოდით და დანა-ჩანგლით დაიცავით სამშობლოო. დანით და ჩანგლით დაცული სამშობლო ვის გაუგია! ახლა, უკრაინელებს, მილიარდობით თანხით აფინანსებენ, ასევე, იარაღით ამარაგებენ. უკრაინას მთელი მსოფლიო დაუდგა და თურმე, ისინი ყოფილან მებრძოლები და ჩვენ მხდალები!!! ამ უბედურების სათავე იცით საიდან მოდის? — ჩვენ, პირველებმა ვთქვით უარი პირადობის მოწმობაში ეროვნების ჩაწერაზე, ასევე, ამოვიღეთ მამის სახელი, რაც გადაგვარებისკენ იყო მიმართული და ასეც, მოხდა. ილიას დანატოვარი სამი ბურჯი — მამული, ენა სარწმუნოება, რა დღეში ჩავაგდეთ? — სამშობლოს ხსენება აღარ არის, ენას ჭიდილი დავუწყეთ. ენის დასაცავად დიდი ბრძოლები გადავიარეთ (ახალგაზრდებიც ჩვენს გვერდით იდგნენ), რათა სახელმწიფო ენის სტატუსი შეგვენარჩუნებინა. დღეს, რა ხდება? — უნივერსიტეტში დისერტაციას ვერ დაიცავ თუ ნაშრომი ინგლისურ ენაზე არ გაქვს დაწერილი. ეს სახელმწიფოებრივი ენის წინაშე, დანაშაულია, მტრობაა. ამ საკითხზე, პროკურატურაში სარჩელის შეტანას ვაპირებ. და ბოლოს, უტევენ პატრიარქს, მართლმადიდებლობას. ამ დროს, **გამოდის ახალგაზრდობა, რომელმაც არც კი იცის,**



**ნაცები რას სჩადიოდნენ და ქართველებს მხდალებს და უკრაინელებს მებრძოლებს ეძახის. ეს „მთავარის“, „ფორმულას“ და „ტვ-პირველის“ დამსახურებაცაა.** მათი იდეოლოგები, თავის ჟურნალისტებიანად, დასაჭერები არიან. ისინი მხოლოდ სიცრუეს ტირაჟირებენ და ახალგაზრდობას აგიჟებენ. უცნობს ვუსმინე, ასე თქვა: ნუ, გვაიძულებთ ავტომატი ავიღოთ, თორემ, პირველად თქვენთან მოვალო. 85 წლის კაცი ვარ და მზად ვარ მეც, იარაღი ავიღო და საქართველოს გადარჩენა ამ ნაძირლების წმენდით დავიწყო. თუ სამშობლო დავივიწყეთ, ერი ვერ იარსებებს. ერების გადაგვარებათა სიაში პირველები ვართ და ასე თუ გაგრძელდა, მალე, გადავგვარდებით-კიდეც. ნაცებს და მათ მსგავსთ ჰგონიათ: თავად ბედნიერად იცხოვრებენ. ისინი ერის ავადმყოფი ნაწილნი არიან. ხელს თითები რომ მოვაჭრათ, ფართხალს დაიწყებს, მაგრამ მალე, მოკვდება. საქართველოს მტრებსაც ასე, დაემართებათ. მათ, საერთოდ, უფლება არ აქვთ საქართველოს მიწაზე ფეხი დააბიჯონ, უნდა მოიკვეთონ, წავიდნენ სხვაგან და როგორც უნდათ ისე იცხოვრონ.

**— ბატონო ელიზბარ, სხვა საქართველოც ხომ არსებობს, სხვა განწყობები, გონიერი ძალები, რომელთა ჩამოწერის უფლებაც არავის აქვს?**

— დიახ, არათუ არსებობს, არამედ ძირითადი ნაწილი, სწორედ, სხვა საქართველოა. ნაცები და მისი მიმდევრები, საქართველოს ნაწილნი არ არიან. გონიერი, პატრიოტი ხალხი, ვისაც სამშობლო უყვარს, გაცილებით ბევრნი ვართ. თუ ხელისუფლება ერის უგვანო ნაწილს არ მოუვლის, მაშინ ქართველი ხალხი გამოვა და ამ ნაძირლებს თავის ადგილს მიუჩენს. მე, მხოლოდ ორ ტელევიზიას ვუყურებ, მაგრამ იქაც, მათ ბრიყვულ საუბრებს მასმენინებენ. რა უნდა პარლამენტში „გირჩს“, რომელიც წესით, ციხეში უნდა იყოს — ბავშვებში ნარკოტიკების პროპაგანდას ეწევიან და ახალგაზრდობას ღუპავენ. ხაზარაძე და ჯაფარიძე, ვითომ, ქართველი ხალხის დამცველები არიან. ესენიც, წესით, ციხეში უნდა გაეშვით, ამ დროს მათ დანაშაული აპატიეს. ამ ნაძირლებს რომ ვპატიობთ, რომელთაც ქართველი ხალხის ფული, მილიონები შეჭამეს და ახლა, პატრიოტებად მოაქვთ თავი, ამიტომ ვართ ამ დღეში. თუ გინახავთ ტელევიზიაში ნორმალური ადამიანი მიეწვიოთ სასაუბროთ? „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ჩვენს ფულს ხარჯავს და ამ ნაძირლებს ალმერთებენ, საქართველოზე გულშემატკივარი არავინ მიუწვევიათ. გადახედეთ, სომხებს, აზერბაიჯანლებს როგორ უყვართ თავისი სამშობლო. ჩვენ, რა დაგვემართა?!

**— ოპოზიციამ წინადადება წამოაყენა: საქართველოში მცხოვრებ რუსებს არ მოვემსახუროთო. ეს რას ნიშნავს?**

— ეს, შეგნებულად ხდება. მათი მიზანია: რუსი დათვი გააზელონ. იგი, ისედაც გახელებულია, ჭკუაზეა გადასული. მთელი მსოფლიო მის წინააღმდეგაა და მაინც ვერ აჩერებენ და ეს ბრიყვები, ამ დროს, რაზე საუბრობენ?! აგერ, 20 კილომეტრში ტანკები დგას, მოგვაბჯენს და მორჩა, დაპყრობილი ვართ. ნაცები კიდევ ამ დათვს ულიტინებენ, რომ როგორმე ქვეყანა მოსპონ. მათი სადარდებელი მხოლოდ ხელისუფლებაში მოსვლაა. შეხედეთ, რაზე საუბრობს მთელი მსოფლიო? უპირველესი, ჩვენი ეროვნულობის, დამოუკიდებლობის, ღირსების დაცვაა. ევროპა გვინდაო, გავიძახით. ამათ, ევროპის რა გაეგებათ. კი, იქ, უცხოვრიათ, მაგრამ ევროპა პოლიტიკური კახპობა ჰგონიათ. რაც არ უნდა იღრიტინონ, არაფერი გამოუვათ. ვურჩევ: ქართველი ხალხის მოთმინებას ნუ ცდიან. ერთი რომ თქვას ღარიბაშვილმა: ქართველებო გამოდითო, მაგათ, სუყველას, სოროსის სოროდან გამოვაძვრენთ და აქედან, გავაბუნძულებთ. „სოროსი“ ყველა ქვეყანამ უარყო, საკუთარმა სამშობლომაც კი და რატომღაც, ყველაზე გალაღებულნი საქართველოში არიან, თავისუფლებაზე ქადაგებენ და ჭკუას გვარიგებენ. ამ დროს ორი წიგნი არ აქვთ წაკითხული, ცარიელი ჭურები არიან.

**— 2008 წელს ომში რომ ვიბრძოდით, მახსოვს, ზელენსკი დაგვცინოდა...**

— დიახ, ასე იყო. მან პუტინის გულის მოსაგებად კავეენი გამართა და ქართველებზე იძახდა: შარვალში ჩაისვარესო. ახლა კი ამ „შარვალში ჩასვრილებს“ საკუთარ ომში ჩაბმას უპირებს და მათ მთავრობას ამორალურს უწოდებს.

ზელენსკი არის კომიკოსი, ადრე, რაღაცებს მასხარაობდა. ახლაც, გამოვიდა და რას ბოდავდა: რა გინდა ჩემგან, რისი გეშინია, ხომ არ გიკბენო — პუტინს ეუბნებოდა. ვაი, მაგის პატრონს. ზელენსკისნაირები რომ არსებობენ, ამიტომ დგება ასეთი შედეგები. ის არ გახლავთ კაცი, რომელიც თავის სამშობლოს მიხედავს. ზელენსკი არის კაცი, რომელიც ყველაფერს იკადრებს, ოღონდ, თავი გადაირჩინოს. აი, იმ ახალგაზრდებს უნდა ვაჩვენოთ როგორ დაგვცინოდა ზელენსკი და მერე, აფრიალონ ამათ კიდევ დროშები.

**— მხარდაჭერის წინააღმდეგი არავინ არის, მაგრამ უკრაინის გადარჩენას საქართველოს ხომ ვერ შევწირავთ?**

— **ნაცებს და მის განშტოებებს, სინამდვილეში, უკრაინის მხარდაჭერა კი არ ადარდებთ, არამედ იმიტომ კნავიან, რომ ხელისუფლება ჩაიგდონ ხელში.** ამიტომ, ყველანაირად ცდილობენ: ამჟამინდელ ხელისუფლებას ავტორიტეტი შეულახონ. არაფერი გამოუვათ იმიტომ, რომ არ მეგულება ოპოზიციაში ადამიანი, რომელიც მეტ-ნაკლებად აზროვნებს ან რაიმე უნარი, ნიჭი გააჩნია. ოპოზიცია, საერთოდ, არ გვყავს. ვეთანხმები კობახიძეს როცა ამბობს: 5 კი არა, 10%-იანი ბარიერი უნდა დაწესდეს, რათა ნაცებიც ვეღარ მოხვდნენ პარლამენტში. „ნაციონალურ მოძრაობას“ საერთოდ უნდა აეკრძალოს არამარტო პარლამენტში შესვლა, არამედ ქართულ მიწაზე ფეხის დაბიჯება. „საერთო გაზეთში“ შარშან წერილი დავწერე, თუ რას წარმოადგენენ, სინამდვილეში, ნაცები. კერძოდ, პარლამენტმა იმსჯელა და დაადგინა, რომ ეს ხალხი არ უნდა იყოს არც საზოგადოებრივ და არც პოლიტიკურ თანამდებობებზე იმიტომ, რომ ადამიანთა სასტიკი წამება ბრალდებათ. ისინი მწამებლები არიან. რა იყო ფაშიზმის ყველაზე დიდი დანაშაული? — სწორედ ის, რომ მწამებლები იყვნენ. ამ დროს, ნაცი მწამებლები არხეინად დასეირნობენ, პარლამენტშიც წამოსკუპულან და ჭკუასაც გვარიგებენ. **ხელისუფლებას მოვუწოდებ: დაამთავროს „ნაციონალების“ პარპაში, თორემ, ამას ქართველი ხალხი გააკეთებს.**

**თამარ შველიძე**
555 23 28 24



# ომი უცნაური ატრიბუტებით, როცა ძნელი გასარკვევია, ვისი რაკეტა ვის ლულაშია...

## დროზე თუ არ გავეცით პასუხი ამ ძალად მაცხონეებს, ესენი ერეკლე მეორის საფლავიდან ამოთხრასაც მოგვთხოვენ – მაგას გეორგიევსკის ტრაქტატზე აქვს ხელი მოწერილიო...

გელა ზედელაშვილი

სანამ რუსეთი უკრაინაში ომს დაიწყებდა (პუტინი სპეცოპერაციას უწოდებს), არ მეგონა, ვერ წარმოვიდგენდი, საქმე აქამდე თუ მივიდოდა. ვფიქრობდი, კრემლი მოსახლეობას არ შეეხება, პირიქით, დაიცავს, ხელისუფლებას თავის პირობებს წაუყენებს და ფსიქოლოგიურ ომს გაუჩაღებს-მეთქი. მიუხედავად იმისა, რაც ჩვენ 2008 წლის აგვისტოში საკუთარ თავზე გამოვცადეთ, მაინც ძნელი წარმოსადგენი იყო, ვლადიმერ პუტინი უკრაინელებს და უკრაინას ასე თუ გაიმეტებდა. ჩვენ რამდენიც არ უნდა ვისაუბროთ სამხედრო სტრატეგიებზე, ტანკებისა თუ ცოცხალი ძალების დაკარგვა-არდაკარგვაზე, ეს ორი ერი ერთნაირი წარმომავლობისაა არა მხოლოდ სარწმუნოებრივად, ისტორიულადაც. მაგალითად, ჩემთვის ვინმეს რომ ეთქვა, რუსები და უკრაინელები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდებიანო, გიჟად ჩავთვლიდი. **ჩემი აზრით, ვინც ეს ორი მონათესავე ხალხი ერთმანეთს საშვილთაშვილოდ დაუპირისპირა, უპირველესად ის ძალა უნდა გადაიხერხოს შუაზე – გინდა პუტინი იყოს, გინდა – ლავროვი, გინდა – ზელენსკი, გინდა – ჩრდილოეთი, გინდა-აღმოსავლეთი, გინდა – მძინარე ჯო, გინდა – უძინარი კიმ ჩენ ინი.** რანაირი ეკონომიკური სანქციებიც არ უნდა დაუწესონ რუსეთს აშშ-მ, ევროპამ, აზიამ თუ აფრიკამ, ფაქტია, საკუთარი თვალით ვხედავთ, ამ ეტაპზე შედეგი არის მდორე, არაეფექტური. კიდევ ერთი, რაც თვალშისაცემია, გახლავთ ის, რომ პირველადმა შეშფოთებამ უკვე გაიარა და ბევრმა ქვეყანამ უკრაინის მხარდაჭერაზეც კი უარი თქვა. 3 მარტს გაერომ მიიღო რეზოლუცია – რუსეთს მოუწოდებენ, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს საომარი მოქმედებები და გაიყვანოს ჯარები უკრაინის ტერიტორიიდან. არ დაიჯერებთ, პოსტსაბჭოთა სივრციდან (ბალტიისპირეთის ქვეყნების გარდა) ხმა მისცა მხოლოდ საქართველომ და მოლდოვამ. თავი შეიკავა სომხეთმა, ყაზახეთმა, ყირგიზეთმა და ტაჯიკეთმა. კენჭისყრას არ დაესწრო აზერბაიჯანი, თურქმენეთი, უზბეკეთი. წინააღმდეგი წავიდა ბელორუსია და რუსეთი. წარმოგიდგენიათ? მხოლოდ ორმა – ჩვენ და მოლდოვამ დავუჭირეთ მხარი, რომ პუტინმა ჯარი გაიყვანოს უკრაინიდან, დანარჩენებმა ან თავი აარიდეს (დაიმალნენ, არ დაესწრნენ), ან კიდევ თავი შეიკავეს. ამ შემთხვევაში თავის შეკავება და დამალვა ერთია, ორივე ერთნაირ შედეგს იძლევა. ამ დროს საწყენი და გასაბრაზებელი ის გახლავთ, რომ ვოლოდიმირ ზელენსკიმ ელჩი მხოლოდ საქართველოდან გაიწვია. მოდით, სანამ უკრაინა ტრაგიკულ ამბებშია ჩართული, ნურც მის პრეზიდენტზე ვიტყვით აუგს, ალბათ დადგება დრო და სიმართლე მოურიდებლად ითქმება. რუსეთმა დილის 5 საათზე იცის ბომბების ჩამოყრა (ესეც საკუთარი გამოცდილებიდან ვიცით). როდესაც პუტინმა უკრაინაში პირველი ბომბი ჩამოაგდო, ზელენსკიმ განაცხადა, ეგრევე დავურეკე ბაიდენს და ვისაუბრეთო. რა უთხრა მისტერ ბაიდენმა ვოლოდიმირს? ახლავე გადავურეკავ ევროპელ ლიდერებსო. ესე იგი, რუსეთი თავს დაესხა უკრაინას და ამ დროს აშშ-ის პრეზიდენტს ეძინა, ყოველ შემთხვევაში, ინფორმაცია არ ჰქონდა. მეტიც, პასუხი იყო ძალიან რაღაცნაირი, ზუსტად ისეთი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე რომ პასუხობდა ხოლმე ბრიგადირს, მაცადე, თავმჯდომარეებს გადავურეკავო. გადაურეკა, მერე? არც არაფერი, თეთრმა სახლმა ერთი ამოიხვნეშა, შეშფოთდა, ის სანქციები დააწესა, მთელი ცხოვრება რომ გვესმის, ხან რომ აწესებს და მერე ხსნის, აწესებს, ხსნის, აწესებს, ხსნის და ბოლოს... იცით, რა უპასუხეს უკრაინელებს? ჩვენ არ განვიხილავთ ისეთი ნაბიჯების გადადგმას, რომელიც რუსეთთან პირდაპირ კონფლიქტს გამოიწვევსო. მეცხრე დღეს უკრაინის მთავრობამ ნატოს მოსთხოვა, გინდათ თუ არა, ცა ჩაგვიკეტეთ, ქვეყნის საჰაერო სივრცე გაგვიკონტროლეთ, რომ რუსული თვითმფრინავები ვერ შემოფრინდნენ და ვერ დაგვბომბონო. ზელენსკის ან არ ესმის, რას ითხოვს, ან კიდევ თავს იდებილებს, ეს ხომ პირდაპირ რუსეთთან ომში ჩართვას ნიშნავს? მეტიც, ნატოს გენმდივანმა იენს სტოლტენბერგმა მოურიდებლად განაცხადა, ჩვენ არ ვაპირებთ უკრაინის არც სახმელეთო, არც საჰაერო და არც სანაოსნო სივრცეებში შესვლასო!



ამაზე ზელენსკი გაბრაზდა, გამოვიდა აღშფოთებული და განაცხადა, განა ასეთი ნატო გვინდოდა? განა ასეთ ალიანსს ვაშენებდითო?!

პასუხი იგივეა: ვერ ჩავერევით!

ამასობაში რუსეთი ძალას იკრებს. მართალია, უკრაინული პროპაგანდის წარმმართველები ამტკიცებენ, პუტინის არმიის დიდი ნაწილი განადგურებულია, სადაცაა კრემლის კედლები დაიბზარებაო, მაგრამ მსგავსი ინფორმაციის გავრცელება შიდა მოხმარებისთვის, იმედის ჩასახვისთვის განკუთვნილი უფრო მგონია, ვიდრე რეალობა. რუსებმა დაბომბეს ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგური. მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ მათ სადგური არ დაუბომბავთ, თურმე ეს შემთხვევით მოხდა. ამას მოაყოლეს ექსპერტთა „მტკიცებულებები“, რომ დაბომბვის შემთხვევაშიც კი არაფერი მოხდებოდა, იმდენად არის (თურმე) ყველაფერი დაცული.

მაშ, ჩერნობილის ტრაგედია?

მანდ სულ სხვა ამბავი იყო, სპეციალისტები ცდებს ატარებდნენ და შეცდომა მოუვიდათ, რა დროსაც მოხდა გაჟონვაო. იმათ შეცდომა მოუვიდათ, ესენი ბომბავენ, ორივე შემთხვევაში შედეგი ერთნაირია. მე პირადად არ მჯერა ზღაპრებისა, რომელთა თანახმადაც დაბომბვის შემთხვევაში ატომური ელექტროსადგური უვნებელი დარჩება. 4 მარტს რუსებმა უკრაინაში აიღეს კიდევ 2 ატომური სადგური. სამწუხაროდ, ზაპოროჟიეში რომ არის, ეგ რამზან კადიროვის დაჯგუფების ხელშია. შეიძლება, კადიროვს ასეთი „სათამაშო“ ჩაუგდო ხელში?! 5 მარტს გახდა ცნობილი, რომ რუსული არმია კიდევ ერთ სადგურს უახლოვდება. რაში სჭირდება ვლადიმერ პუტინს ატომური ელსადგურები, რატომ აგროვებს? მე ორი ვერსია მაქვს: პირველი – თუ მთელი უკრაინული ატომი მის ხელში მოექცევა, ის უფრო იოლად დააშანტაჟებს ევროპასაც, აშშ-საც, ნატოსაც და კატოსაც; მეორე – პუტინი ფრთხილობს, ემანდ ვინმემ მართლაც ე.წ. გაჟონვა არ მოაწყოს და მას არ შეეტენოს. მე მგონი, არ ვცდები, ორივე ვერსია საგულისხმოა. უკრაინაში სულ 5 ატომური სადგურია, აქედან ერთი უმოქმედო გახლავთ – ჩერნობილისა. ამ მხრივ ყველაზე „კვალიფიციურად“ მაინც უკრაინაში გადაბარგებული გია ბარამიძე გვამშვიდებს – მისი ღრმა რწმენით, არც ერთი ატომური ელექტროსადგური თავისით არ აფეთქდება, თუ არ ააფეთქეს. მისივე თქმით, ეს ელსადგურები უფრო მეტადაა დაცული, ვიდრე ჩერნობილისა იყო. რა იცის ახლა ამან, როგორ და რანაირადაა დაცული? არა, არ იცის, მაგრამ იმედს გვინერგავს, პანიკაში არ გვყრის. სხვათა შორის, **თქვენ ხედავთ, ზოგიერთნი რომ მოიხიკნენ და კიევში გაცვივდნენ. არ გეგონოთ, ეგენი ფრონტზე წავიდნენ მოძმე ერის გადასარჩენად, იქ ბიზნესები აქვთ, სარჩო დაუწიოკდათ, პრობლემები შეექმნათ და მიხედვა ხომ უნდა?** არა ბიჭო და... გივია თარგამაძე ყუმბარით ხელში გადაუდგება პუტინის ტანკებს. როგორი ბედოვლათი მეომრებიც ესენი არიან, ვიცით, გვინახავს, გამოგვიცდია! ალბათ ბარამიძე უკრაინაშიც ნახავს მეორე ბორისოვს, რომელთანაც ერთი მაგრად ჩატყვრება და მერე დაიწყებს სამშობლოზე ღიღინს, გულის ფიცარზე მჯიღის რტყმას. ნეტავ ვიცოდე, ამისი სამშობლო რომელია, საიდან ჩამოითესლა და აღმოცენდა?!

მე პირადად ისეთი შეგრძნება მაქვს, რუსეთი უკრაინის სახით საკუთარ ხალხსა და მიწას ბომბავს. უკრაინის გაბრაზებული ხელისუფლებაც, სადაც ბევრი „ნაციონალია“ თავშეფარებული, საქართველოსთან მიმართებით არაადეკვატურად იქცევა. ზემოთ მოგახსენეთ, ახლა ომია, ნუ გავაკრიტიკებთ-მეთქი, მაგრამ ეს უნდა ითქვას: არ შეიძლება, საქართველოს მოსთხოვო შეუძლებელი და უწოდო ამორალური, ირაკლი ღარიბაშვილი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ამ ომში პირნათელი გამოვიდეთ. თუმცა იქ, სადაც ახლა ადამიანები იხოცებიან, როგორც ჩანს, ამდენი არ ესმით. 3 მარტს გლდანის საპყრობილის სამკურნალო დაწესებულების ყოფილ დირექტორს, ძებნილ ალექსანდრე მუხაძეს („ქილერას“) უკრაინაში საქართველოდან პოლიტიკური ნიშნით დევნილის სტატუსი მიანიჭეს. უკაცრავად კი ვარ უკრაინელ ხალხთან, მაგრამ ხან მგონია, ვიღაცები ამ ომით ერთობიან და თან ანგარიშებს ასწორებენ. ასეთ ტრაგიკულ დროს „ქილერა“ მუხაძისთვის რომ მოიცლი, აშკარად ვერ გაქვს თავში მთლად კარგად საქმე. იმისი არ იყოს, პოლონეთის ელჩისა (ამაზე ცოტა ქვემოთ ვაპირებდი საუბარს, მაგრამ სიტყვამ აქ მოიტანა), მაროუშ მაშკევიჩისა, ძაან მაგარი რჩევა რომ მოგვცა და პირობაც წამოგვიყენა:

„თუ კონკრეტული მოცემულობების გამო, საქართველოს არ აქვს საშუალება, რომ სანქციებს შეუერთდეს, ქვეყანას შეუძლია, გადადგას

















ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი – დახუროს სტალინის სახლ-მუზეუმი, რომელიც დღემდე არსებობს გორში“.

მოცლილ პან მაშკევიჩს ძალიან კარგად უპასუხა ერმილე ნემსაძემ:

„ბატონო ელჩო, არ მგონია არ იცოდეთ, რომ დღევანდელი პოლონეთის 35% სტალინის საჩუქარია. მათ შორის, 600 წლის წინ დაკარგული უნიკალური ქალაქი ვორცლავი და ორი საპორტო არტერია – გდანსკი და შეცინი. ეს უკანასკნელი არასდროს ეკუთვნოდა პოლონეთს, შვედურ-გერმანული ქალაქი იყო. ბატონო ელჩო, თქვენ მზად ხართ, ფიქრის დონეზეც კი დაუშვათ, აღმოსავლეთ პრუსიული მიწები გერმანიას გადეცეს ზღვაზე გასასვლელის ჩათვლით? დიდი მადლობა რჩევისთვის, მაგრამ ჩვენ გადავწყვეტთ, ჩვენს ქვეყანაში რა იყოს ღია და რა დახურული“.

მე მაინც მგონია, რომ მაშკევიჩმა საკუთარი ქვეყნის ისტორია არ იცის, მით უფრო საქართველოს ისტორია. ჯერ ერთი, ახლა, ამ გაგანია ომის დროს რა დროს სტალინი, ბიძია თომას ქოხი და ტიმოთე პანტაგრუელია? მეორეც – ამას რომ დავუჯეროთ, ხვალ ერეკლე მეორის საფლავის ამოთხრასაც მოგვთხოვს, მაგას გეორგიევსკის ტრაქტატზე აქვს ხელი მოწერილიო. როგორ გითხრათ... ელჩებსა და მათ თანაშემწეებზე დიდი წარმოდგენა არასდროს მქონია, ბავშვობიდანვე მეგონა (ახლაც ასე მგონია), სულ გაზეპირებული და არაფრისმთქმელი სიტყვებით ლაპარაკობდნენ, მაგრამ ამან, ამ პოლონელმა პანმა საერთოდ მოხსნა ყველა რეკორდი – რა გინდა, ვის საქმეში ეჩრები, რა შენი საქმეა, ვის მუზეუმს დავხურავთ და ვისას გავხსნით?!

უკვე გითხარით, ეს რაღაცნაირი ომია-მეთქი. ჯერ ერთი, იმიტომ არის უცნაური, რომ ნათესავები ნათესავებს ხოცავენ და მეორეც – ზოგიერთი ლიდერი ქვეყნის ლიდერიც რაღაცნაირად იქცევა:

ფრანგული გამოცემა „ლე ფიგაროს“ ინფორმაციით, ქვეყნის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი რუსეთში მომუშავე ბიზნესმენებს შეხვდა და მათ ურჩია, თავი შეიკავონ რუსეთის ბაზრის დატოვების ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღებისგან. პრეზიდენტმა მათ მისცა რეკომენდაცია, არ გამოვიდნენ რუსული ბაზრიდან.

რა გამოდის? ჯერ აქეზებდნენ უკრაინას, პუტინს ისეთ დღეში ჩავაგდებთ, ისეთ სანქციებს დავუწესებთ, სამიდღემშიოდ გავუყენებთ დაცემის გზასაო, თავისი ქვეყანა ეგრევე ჩამოენგრევა თავზეო. მე ამ დროს ცოტა ნორმალურად მოაზროვნეთა მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ვფიქრობდი, თუ ევროპამ და აშშ-მ რუსეთს ასეთი სასტიკი სანქციები დაუწესა, მაშინ რას აპირებენ ის ევროპელი და აშშ-ელი ბიზნესმენები, მათი კომპანიები, რომლებიც რუსეთის ტერიტორიაზე მოღვაწეობენ? ასეთები ათასობითაა, მარტო გერმანული და ფრანგული კომპანიების რიცხვი 5 ათასზე მეტია. სხვათა შორის, „კოკა-კოლამაც“ უარი თქვა რუსული ბაზრიდან გასვლაზე, ამდენ თანამშრომელს უხელფასოდ ვერ დავტოვებთო. თუ საქმე უცხოეთის ქვეყნებს ეხება, ჩვენი ე.წ. ოპოზიციონრებისთვის, ჯიბეებში რუსული პასპორტები რომ უდევთ, არაფერია, ამ კუთხით ყველაფერი მოსულა. თუ საქართველოს მთავრობამ განაცხადა, რუსეთს სანქციებს ვერ დავუწესებთო, ეს უკვე კატასტროფაა. თუ „ნაცმოძრაობის“ ფინანსური მამა



უკრაინაში ომის დაწყებისთანავე მოსკოვებში გაუჩინარდება და მას თავისი რუსული პასპორტის ასლსაც გამოუქვეყნებენ, ეს არაფერია, მერე რა მოხდა? „პოსტ-ტვ“-მ ამაზე სიუჟეტი მოამზადა, ე.წ. ოპოზიციონრებს ეკითხებიან, კობა ნაყოფიას ჯიბეში რუსული პასპორტი რომ უდევს და ახლა მოსკოვშია თავისი ბიზნესების მისახედად, ამაზე რას იტყვითო? ჰელენ გოგიევიჩ ხოშტარიამ მთლად გამოიშტერა თავი (ისედაც შტერია), რუსეთის პასპორტი მილიონს აქვს, რუსეთში ბიზნესები მილიონს აქვს, მერე რა მოხდაო? აი, ბიძინა ივანიშვილს რომ ჰქონდა, ის დანაშაული იყო, დუპლეტ ნაყოფიას რომ აქვს, ეს ჩვენი ქვეყნის განვითარების გეგმის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ამ მხრივ თაკო ჩარკვიანმაც მაგრად გამოიშტერა თავი, მე არ ვიცი, კობა ნაყოფიას რუსული პასპორტი აქვს თუ არა, არც ბიზნესების შესახებ მსმენია რამე, მე მხოლოდ აფხაზეთის დამბრუნებელ ნაყოფიას ვიცნობ, ის აუცილებლად დაიბრუნებს აფხაზეთსო. მიუხედავად უამრავი ტრაგიკული მოვლენისა, აქ უფლებას გაძლევთ, ერთი-ორი წუთით იხითხითოთ. ესე იგი, თაკო ჩარკვიანი, რომელიც კრემლის დაუძინებელი მტერია, დარწმუნებულია, რომ კობა ნაყოფიას რუსული პასპორტი აფხაზეთის დასაბრუნებლად სჭირდება – ჯერ შეიპარება „გუშში“, მერე „ცუშში“, ააფეთქებს, ამ დროს შეშინებული პუტინი გამოვარდება კრემლიდან, კობა დაიჭერს ყურებით, ხელს მოაწერინებს აფხაზეთის დაბრუნებაზე და „ვსიო“, მორჩა, თაკო მას აღიარებს ეროვნულ გმირად. ფაქტობრივად, უკვე აღიარებული ჰყავს, მაგრამ ძეგლიც ხომ უნდა დავუდგათ? აი, მერე იტყვიან, რატომ ვიღებთ არჩევნებში 0000,1%-სო? ბიძინა ივანიშვილმა გაგვიყალბა, თორემ მეტს მივიღებდით, უმრავლესობა ჩვენი იქნებოდაო. ბიძინა ივანიშვილს რა აქვს სამაგისო, ამ დუთინებს რამე გაუყალბოს? წვალობენ, ოფლში იწურებიან, ამდენ ფულს ხარჯავენ (ხაზარაძე და ჯაფარიძე), მილიონებს ფანტავენ და ცხვრის კურკლისოდენ ხმებსაც კი ვერ აგროვებენ. ესეც, ეს ჩარკვიანი რომ მოხვდა პარლამენტში, ჯუნიორა ვაშაძეს ჩაუბეს, სამიდან ერთი ეგ შეიყვანე, ბევრი იხავლა, ვალში ვართო.

პუტინი რუსული ავიაკომპანიების თანამშრომელ ქალებს შეხვდა, თავისებურ აგიტაცია-პროპაგანდას ეწევა. იქ ისეთები ილაპარაკა, დასავლეთელი ბოსების ყურადღების მიღმა ნამდვილად არ უნდა დარჩეს. მისი თქმით, ზელენსკი ხელისუფლებაში რომ მოეყვანათ, დასავლეთმა 5 მილიარდი დოლარი დახარჯა, ეს იყო მათთვის სასურველი კანდიდატურა, საუბარი იყო უკრაინისთვის ბირთვული იარაღის მიყიდვასა და რუსეთ-უკრაინის საზღვარზე სხვადასხვა სახის რაკეტების განლაგებაზეო. რაც შეეხება ხარკოვსო, – განაცხადა პუტინმა, – აქ უკრაინელებმა თავი მოუყარეს 6000 უცხოელ მშვიდობიან მოქალაქეს და დამცავ ფარად დაიყენეს, როდესაც ჩვენ ეს გავიგეთ, უკრაინის ხელისუფლებას შევატყობინეთ, დაგვპირდნენ, რომ მიხედავდნენ, მაგრამ შედეგი იყო ნული. ასევე შევატყობინეთ ევროპელ ლიდერებს, დაგვპირდნენ, რომ სიტუაციას მოაგვარებდნენ, მაგრამ შედეგი ისევ ნულიო. დავუშვათ, მე და თქვენ არ გვჯერა, ალბათ ეს პუტინის მორიგი ზღაპარია, მაგრამ უნდა გაირკვას, სად არის სიმართლე და სად – ტყუილი!

ზელენსკი ზოგისთვის გმირია, ზოგისთვის – ერთი ქარაქუცა თაღლითი. მაგალითად, დიდი სტრატეგოს-ჟოურნალისტი ინგა გრიგოლია იძახის, ზელენსკი უინსტონ ჩერჩილს მაგონებსო. რა ვიცი... თუ ზელენსკი ჩერჩილია, მაშინ ინგას მამა, სავარაუდოდ, ჩინეთის იმპერატორი უნდა იყოს. ვფიქრობ, მიუხედავად რთული სიტუაციისა, ესეც სასაცილო თემაა. მე არ ვიცი, რატომ მოსდით ხოლმე ცოცხალ ადამიანებს ასეთი აზრები თავში? მაგალითად, ასეთები, პეტრე ცისკარიშვილს რომ აწუხებს ხოლმე (ესეც „შედევრია“:

„აბა, ერთი წამით დავფიქრდეთ... მიშა რომ ქოცებს ტყვეობაში არ ჰყავდეთ, ის თავისი საერთაშორისო კონტაქტებით, მედიასთან ჩართვებით, ქარიზმით, დარწმუნების უნარით უკრაინის თავზე ცის დაკეტვის გადაწყვეტილების მიღებაში ცოტა ხომ ვერ „წაეხმარებოდა“ დასავლეთის ქვეყნებს“?

დიახ, თვალები არ გატყუებთ, ნამდვილად ასე თქვა, ეხლა მიშა გარეთ რომ იყოს, დასავლეთს დაარწმუნებდა, უკრაინის ცა აუცილებლად უნდა დაიკეტოსო და ისინიც დაკეტავდნენო. ეს მედიასთან ჩართვებით და დარწმუნების უნარით რუსეთს გაანადგურებდაო. ეეჰ... ცხოვრებაში უამრავი დუპლეტი მინახავს, მასეთების მეტი რა იყო ამ ქვეყანაში, მაგრამ ეგეთი? გეფიცებით, ეგეთი არსად შემხვედრია!

პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე აქციებზე მდგომებს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ასე მიმართა: თქვენ იცავთ საქართველოს ღირსებასო. მაშ, კაცო, მიშა მშვილდაძეს, ნანუკა ჟორჟოლიანს, ჰელენე გოგიევიჩს, გიგა მარქარაშვილსა და ამათნაირებს განუცხადა, თქვენ იცავთ საქართველოს ღირსებასო! მე პირადად, ეს რომ მოვისმინე, თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი, თუ ესენი იცავენ ღირსებას, მაშინ ჩვენ რას ვაკეთებთ? ან მაშინ რას ვაკეთებდით, მისი გაპრეზიდენტებისთვის ტლაპოში რომ გვსვრიდნენ და გვემუქრებოდნენ? თურმე ნიკა გვარამია „ღირსებაა“, ჩვენ – „არარაობა“. რა ვქნათ, რა გაეწყობა? მე სულაც არ გამიკვირდება, უახლოეს ხანში გამოვიდეს ქალბატონი „თ“ და გამოაცხადოს, ივანიშვილი ვინ არის, საერთოდ არ ვიცნობ, არ გამიგონიაო.

არ ვამბობ, ამ აქციებზე ყველა უვიცი დადის-მეთქი, მაგრამ არც ისეთები აკლია, დიმიტრი ქვაცაბაია რომ გვიყვება:

„3–4 დღის უკან, რუსთაველზე „ზარადან“ გამოვედი და რუსთაველის მეტროსკენ გავუყევი გზას... ჩემს წინ მიდის ორი გოგო, ასე 18–20 წლამდე, ქართული და უკრაინული ალმებით. ეტყობოდათ, ნაცთა აქციიდან მოდიოდნენ. ერთი ეუბნება მეორეს: აი, ოზურგეთი და ზუგდიდი ერთმანეთში მერევაო. როგორ, ქალოო, – ეუბნება მეორე. ერთი სადაა და მეორე სად, ეს მერევაო, – პასუხობს პირველი (ზესტაფონი გარკვეული აქვს ეტყობა). აი, ეს გოგოები უკრაინის მხარდამჭერთა აქციიდან მოდიოდნენ და იქ იცავდნენ ზაპოროჟიეს და ზელენსკის. ბიჭოოოს, ოზურგეთი და ზუგდიდი ვერ გაურჩევიათ აქ, თავის ქვეყანაში, იქაურ ხერსონსა და ლუგანსკზე როგორ ნერვიულობენ, ეს ფარისევლობა და პაკაზუხობა მოდაშია ამ ახალგაზრდებში“?!

ამათ მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა, თქვენ წარმოადგენთ ქვეყნის ღირსებასო. დაგენიძლავებით, ამათ რომ ჰკითხო, სოფელი მირზაანი საით და რომელ კუთხეშიაო, მხრებს აიჩეჩავენ და თვალებს გადმოკარკლავენ. ის კიდევ ხომ საერთოდ არ ეცოდინებათ, მირზაანში ვინ დაიბადა და რისთვის დაიბადა. თქვენ გგონიათ, უკრაინისა და ზაპოროჟიესი გაეგებათ რამე? დაიბარეს, ფული მისცეს, ხელში დროშები დააჭერინეს და უთხრეს, 7 საათზე პარლამენტის წინ მოხვალთ, დროშების ქნევას მოჰყვებით, მრისხანე სახეებს მიიღებთ, ინგა დეიდას რომ მოეწონება, ისე, შეიძლება ტელევიზორშიც გამოჩნდეთო.

და ბოლოს... კიდევ ერთხელ ვიმეორებ: როგორც ჩანს, ამ ომში ყველას თავისი ინტერესები აქვს და ყოჩაღ, საქართველოს ხელისუფლებას – ყოჩაღ, ირაკლი ღარიბაშვილს, რომ ჩვენ არ გავებით პროვოკაციებსა და ავანტიურაში. იყო, არის და კვლავ იქნება მცდელობები, საქართველო ჩაითრიონ ამ გაუგებარ ომში, რათა რუსეთს გაუხსნან მეორე ფრონტი, მაგრამ არ გამოვა, ეს ქვეყანა ველარ გაუძლებს ამგვარ შემოტევებს.

ჰო, კიდევ ისა... უდელმა ვანომ (მერაბიშვილმა) დაწერა „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე: „ქართველ იურისტებთან ერთად უკრაინაში ვარ და აქტიურად ვთანამშრომლობთ გენპროკურატურასთან“.

აშკარად ზურაბ ადეიშვილმა გამოიძახა მერაბიშვილი და მისი „სასტავი“ პროკურატურასთან სათანამშრომლოდ. თუ გავითვალისწინებთ, რომ უდელი ვანო რუსეთის დანომრილი აგენტია, მაშინ მანდ, პროკურატურაში რაღაც ბუდე უნდა არსებობდეს. მე ნამდვილად არ მინდა, მაგრამ რაკი კრემლის ქართული აგენტურა აქტიურადაა ჩაბმული ამ ომში, არ მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება. მაპატიეთ გულახდილობისთვის.

# ზნეობრივი კრიზისი და ბრძოლა ღირსების წინააღმდეგ



**გთავაზობთ ფრაგმენტებს კობა არაბულის წერილებიდან, რომლებიც „საერთო გაზეთის“ ადრინდელ ნომრებში გამოქვეყნდა.**

**რედაქცია მომავალშიც გააგრძელებს „საერთო გაზეთში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული პუბლიკაციების ბეჭდვას, რომლებსაც დღემდე არ დაუკარგავთ აქტუალობა.**

რა უნდა აკეთოს და როგორ უნდა მოიქცეს ღირსეული მამულიშვილი საკუთარ სამშობლოში, საქართველოში რომ არ მოკლან, არ მოწამლონ, ცილი არ დასწამონ, ან არ გააძევონ საკუთარი ქვეყნიდან, რომ არ დაუწყონ დევნა და განდევნა საკუთარი სამშობლოდან...

საერთოდ, რა ხდება ჩვენს ქვეყანაში: ისევ „რატომ კარგი აგიგიას“ სინდრომი რატომ ამუშავდა?!

ისევე, როგორც „დიდოსტატის მარჯვენაში“, „სვეტიცხოვლის“ ამშენებელს მარჯვენა მოჭრეს, „სამების“ (საუკუნის ტაძრის) აღმშენებლისთვისაც მარჯვენის მოჭრა უნდათ?!

და არა ოდენ სამების აღმშენებლის, ყოველი ტაძრის (ხუთასამდე!), ყოველი თეატრის, ამდენი კულტურის ცენტრის, არაერთი სამკურნალო დაწესებულების, ყოველი დიდი ეროვნული საქმის, — თუ რომელიმე და რაიმე ამ საუკუნის დამდეგს და წინა საუკუნის დასასარულს კეთდებოდა და კეთდება, ბიძინა ივანიშვილის სახელთან არის დაკავშირებული.

თუ გადავხედავთ ჩვენს ისტორიას, მსგავსი საქველო საქმეები, არც ერთ ქველმოქმედს, არც ერთ ბიზნესმენს (გნებავთ, ოლიგარქს) საქართველოსთვის არ გაუკეთებია. მგონი არც რომაელებს უკეთებიათ ასეთი ქველობა.

დიდი სარაჯიშვილი ჩიოდა: ქართველებს თუ შეძლებული კაცი გამოუჩნდა, ყველანი მიესევიან, გაწეწავენ დ მერე სალანძღავად გაიხდიანო... ეტყობა, მანაც გამოსცადა ქართველთა უმადურობა საკუთარ თავზე.

სად, რომელ ქვეყანაში ექცევიან თავის გამოჩინებულ მამულიშვილს ისე უდიერად და უსინდისოდ, როგორც აქ, ამ ბედკრულ საქართველოში.

მაინც, რა დააშავა ივანიშვილმა ისეთი (რა შეცდომა დაუშვა), რომ: კვესიტაძის და გრიგოლიას ტიპის ლაქია ჟურნალისტიც კი თავისი „ლაქარდიანი ენით“ ტარტალს უბედავს?

რა ცილისწამების და დაუსჯელობის ჯოჯოხეთი დუღს ამ ქვეყანაში?

ქვეყნის გამღლეტ ხახარაძეზე იხოცავენ ღაწვებს ჩვენი პოლიტიკანები და ტელე-ლიბერასტები, საკუთარი ქვეყნის და ბუნების სიმდიდრეებს ხომ, ხვრიპავს... და ივანიშვილს ებრძვიან გარედან მოტანილი მილიარდები რომ შეახმარა ამ ქვეყანას...

სწორედ: „რატომ კარგი აგიგიას!“ შურსა და ეგოიზმში „დევს“ ეს ძაღლის თავი და დაუსჯელობის სინდრომში — რაც გინდა თქვი და დააბრალე, როცა შუბლის ძარღვი გაწყვეტილი გაქვს,... მით უფრო, „მოენე დიაცს“ ვინ რას ეტყვის...

ერთ საპასუხო ლექსში ვაჟა ამბობს, როდესაც სრულიად უსაფუძვლო ბრალდებებს უყენებდნენ და განაქიქებდნენ:

„იქნებ მეც, ჩემმა ენამა, სამშობლო დავაღონეთა,

ფრთები შევჰკვეცეთ ოცნებას, დავამხეთ, დავამონეთა,

●

უვარგისობის მიზეზი „ფშავლობა“ არის სწორედა...“

ნახეთ, რა ბრალდება წაუყენა



ვაჟამ მეშჩან, მედროვე, ეგოისტ ელიტას\. ... მასა აღიარებდა ვაჟას, მაგრამ გარკვეულ „ელიტარულ კლანს“ არ სურდა, მისი გენიით შეშფოთებულთ, მისი აღიარება.

ალუდას ფენომენიც სწორედ იმიტომ წამოსწია ვაჟამ, რომ „კაი ყმის“ დევნისა და განდევნის „სინდრომი“ უკვე გაჩენილი იყო ქართულ საზოგადოებაში.

●

მაშ, რატომ ვებრძვით და ვუპირისპირდებით კაცს, რომლის მოსვლასა და გამოცხადებას სიზმარში თუ ვხედავდით, თორემ იმდენად დაუჯერებელი იყო, სატანური „მკვლელი რეჟიმის“ პირობებში.

მაშინ მე ვწერდი ჩემს ერთ წერილში: გმირი იბადება უჟამო ჟამის პერიოდში, თითქოს არსაიდან და იგი სწორედ ახლა უნდა გამოჩნდეს, როგორც კვირია\. ... „შეუძლებლობის“ ჩაკეტილ სივრცეში „პროკრუსტეს სარეცელზე“ მწოლიარე ერს ჰქონდა ასეთი პიროვნების მოლოდინი... და მოვიდა იგი და მოიყვანა უფალმა, და მან შეძლო იმ ურჩხულის დაძლევა, რომელიც 10 წელიწადი ჭამდა და ღრღნიდა ქართველი ერის სულსა და სხეულს, და ეს 10 წელი იყო, ვითარცა 1000 (ათასი), იმდენად მძიმე იყო ეს 10 წელი ქართველთათვის, როგორც ასწლეული მონღოლოიდურ-ხაზარული ეპოქებისა...

ამ ათმა წელიწადმა გადააგვარა საზოგადოება, სატანის რეჟიმმა შეძლო სულიერი, მატერიალური, კულტურული ინსტიტუტების ნგრევა, სრულიად შეცვალა მოზარდთა ფსიქოლოგია მაზომბირებელი მასმედიის მეოხებით...და როგორც ერთმა ნიჭიერმა მწერალმა ბრძანა, „სააკაშვილი შეეცადა ახალი ქართველი ადამიანის გამოყვანას და გამოუვიდა ჩერგოლეიშვილიო“!

●

მაინც რა „დააშავა“ ივანიშვილმა, ან დააშავა თუ არა, საერთოდ?

დიახ, „დააშავა“, მან ჩამოაშორა ეს ურჩხული და მისი რეჟიმი ქვეყანას, მან შეცვალა სატანის დრო! ეს მოვლენა საეტაპო მოვლენად დარჩება ქართველი ერის ისტორიაში...

ეს იყო მისი დანაშაული სატანისტთა სამყაროსთვის, მან დაამხო სატანის ტირანია, მაგრამ გაუშვა (შეიწყალა) ამ მონსტრის გვამიდან ამოსული „ჭიები“\. ... ახლა ისინი შხამიან გიენებად იქცნენ და ქვეყანას (და ივანიშვილს) სახიფათო ზღვარზე აყენებენ.

რა შეიძლება იყოს პიროვნების, კერძოდ, ივანიშვილის წინააღმდეგ გამოხდომის მიზეზი? არაფერი და ყველაფერი! „დანაშაულია“ მისი ღირსება და ქველობა, მისი მამაცობა, მისი ღვაწლი მთელი ერის და ყოველი ქართველის მიმართ? როდესაც ქველობანი და მაღალზნეობანი განკითხვისა და ლანძღვის ღირსად იქცევა ერში, ის ერი (და ქვეყანა) დიდხანს იქნება ნირვანაში და დარჩება დამარცხებული საკუთარ თავთან და მტერთან.

●

მოდი, დავსვათ მეორე კითხვაც: რა უნდა გააკეთოს გონიერმა საზოგადოებამ, რომ ისეთი ტრაგიკული ექსცესი აიცილოს, რომ ღირსება და ღირსეული კაცი გადაარჩინოს ერში, თემში, ქვეყანაში!..

როგორ უნდა მოიქცეს ერი, რომ გამოკვეთილად ამბიციური და ამპარტავანი გაფეოდალებული კლანი გაანეიტრალოს და გააკეთილშობილოს,... „ამაღლებული“ მონა და მათხოვარი, უვიცი ლიბერასტი თავზე არ დააჯდეს „დამდაბლებულ“ და იარაღაყრილ ქვეყანას?!

როგორ უნდა მოიქცეს გონიერი ერი, რომ არ მოაკვლევინონ ილია ჭავჭავაძე!.. ან, ვთქვათ, ისეთი მოღვაწე და მამულიშვილი, როგორიც იყო კოსტავა, ზურა ჭავჭავაძე, გურამ შარაძე... ან, თუ გნებავთ, ზვიად გამსახურდია, რომელიც პოლიტიკურმა კრუელებმა, ყაჩაღებმა და ყაჩაღების ხელით ჩაკლეს დევნილობაში (ტყეში) და სად და როგორ ათრიეს მისი გვამი, არავინ იცის\. ...

მარტყოფის ომის გმირი, რომელმაც შაჰ-აბაზს გამოგლიჯა საქართველო, „ქართველთ“ ქვეყნიდან გააძევეს,... გორგასალს ღალატით იღლიაში დაჰკრეს ისარი — ყველაზე დიად მეფეს ქართველთას — შინაურმა მონამ!!!

„დამჭრეს, თორემ ერთად თორმეტნიც არ მეყოფოდესო!“ — ეს მისი სინანულიანი ფრაზაა...

ხოლო რა ბედი ეწია „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს, რომლის წიგნის „საფარველ დადებული იყო ჟამთა შინა“, არავინ იცის...

ჩვენ ერს ეს ავადმყოფობა წესად თუ გენურ თვისებად ექცა: ღირსეულის დევნა და განდევნა; უღირსთა ამაღლება ღირსეულთა დამდაბლებისთვის......

საკუთარ თემში და ქვეყანაში დაუფასებლობა და მოძღვრისათვის შენდობის არ ქონა, ქრისტეს კი მომაკვდინებლად იქცა: „ჯუარს აცუთ ეგე“... ღრიალებდა ბრბო, პილატე „ხელს იბანდა“ ბრბო სჯიდა წამქეზებელთა წაქეზებით. ასე ვართ ახლაც. წამქეზებელთა წაქეზებული ბრბო რუსთაველთან მოითხოვს მავანის გადაყენებას და დასჯას...

●

სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსულმა და დღემდე შემორჩენილმა ვანდალებმა ეს უზნეო ზნენი და თვისებანი უმაღლეს რანგში აიყვანეს, მოკლეს, „ჩარეცხეს“, გაანადგურეს, დაასმინეს, დაარბიეს არა ოდენ პიროვნებანი და ღირსეული ქართველი ოჯახები, არამედ საზოგადოებები, კავშირები, ინსტიტუტები, აკადემიები, რომელნიც პოზიტიური, ეროვნული ენერგეტიკის მატარებელნი იყვნენ. ეს პროცესი (და ვითარება). ეს საგანგაშო „სტატუს-კვო“. დღემდე შენარჩუნებულია: კულტურას, მწერლობის საკუთარ სივრციდან დევნიან...

მათ საკუთარ ქვეყანაში ვიღაცის მიერ მოვლენილმა „ჰიქსოსებმა“ გამოაცხადეს პიროვნების და პიროვნული ღირსების, თემის და სოფლის „კითხულ კაცთა“ (თავ-კაცთა) დევნის კამპანია. ბევრ მათგანს „ქურდის“ იარლიყი მიაწებეს და ქურდებთან გაათანაბრეს ამ (ნამდვილმა) ჰიქსოსმა ყაჩაღებმა. სოფელი, თემი, ქალაქი, რომელიც გონიერი ხევისბერი და მახვში კაცების ენერგეტიკაზე იდგა, დაშალეს...

ჭკვიანი კაცისთვის ჭკუის კითხვა და ჭკუაკითხული კაცისგან დარიგების მიცემა დანაშაულად გამოაცხადეს! და შექმნეს განურჩეველი, ჭაობის ტიპის საზოგადოება, რამდენიმე „ბაყაყის“ საყვირით...

საზოგადოება უკუღმა შემობრუნებული ფარის სინდრომით, რომელსაც გონიერი ლიდერი არ ჰყავს და სადაც მიდგება უფსკრულის პირას, იქ ჩარჩება, ან ჩაიჩეხება...

●

მინდა გავიხსენოთ ერთი მეტად საყურადღებო ეპიზოდი ქრისტეს ცხოვრებიდან:

ქრისტე ლაზარეს გააცოცხლებს, რომელიც ოთხი დღის

მკვდარი იყო. ლაზარეს და იესოს (და მოციქულებს) ვახშამს უმზადებს, ხოლო მარიამი ქრისტეს ნელსაცხებელს სცხებს ფეხებზე და თავისი თმებით უმშრალებს. მაშინ იუდა ისკარიოტელი იტყვის: „რატომ არ გაიყიდა ეს ძვირფასი ნელსაცხეელი 300 დინარად და არ მიეცა ფული გლახაკთ!! — იუდას არ ადარდებს გლახაკთა ბედი, იგი ქრისტეს ღალატისთვის ემზადება, ფული კი მოსაპარად უნდა... იესოს პასუხის რამდენიმე ვერსია არსებობს და ერთი მათგანი ასეთია: „იუდა, შენ ამაზე ნუ დარდობ, ჩემი ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ კიდევ მრავალი გლახაკი და ღარიბი დარჩება!“ ანუ ღარიბები აქ თქვენთან რჩებიან, მე კი არა!... ეს ღვთიური ირონიაა, იგი ყურადღებას ამახვილებს პირმოთნეობასა და შურზე და არაფერს ამბობს გლახაკებზე... რადგანაც ისინი ყოველთვის იყვნენ და იქნებიან, ქრისტემდე და ქრისტეს შემდგომაც... იუდაც მუდამ იქნება... ეტყობა, ქველობასთან ერთად უმადურობაც მუდმივი თანამგზავრია. ყოველი საზოგადოების და ყველა დროის... ვერც ჩვენ ავირიდებთ ამ მოვლენას.

„სგ“ N37.2019 წ.



# ქართული წარმოშობის ხუნვეიბინები

მოდი დავსვათ კითხვა, ვინ არიან ესენი — პარტიებად წოდებული სექტები თუ კლანები: ეს ახალი დროის ველური, ვულგალური ბარბაროსები...

— გასაღებდაკარგული

— ფორმადაკარგული

— პროპორცია დაკარგული. უმორალო პარტიები: თავიანთი ბითური, ბლეფი „ბელადებით“...

დაადეთ ხელი რომელიმე მათგანს, დახუჭეთ თვალი და დაადეთ ხელი მათ სიას: მელია, ბაჩუკი ქარდავა, შალიკო, ვაშაძე, ბურჯანაძე, ბოკერია, რესპუბლიკელი ბერძენიშვილები, უსუფაშვილი, ბაქრაძე და ასე შემდეგ...

რომელია მათგან, რაიმე ფასეულობის, ღირსების, პატივის მატარებელი...

— რომელია მათ შორის სიმართლის, პრინციპების, ქვეყნის, სახელმწიფოს ინტერესის მქონებელი...

ყველა მიშლილ-მოშლილი, დანგრეული, მოღალატე პარტიების ნარჩენები:

ილიამ რომ თქვა თავის დროზე: „ესენი დაღუპავენ ქვეყანასო“ და მართლა დაღუპეს მაშინაც და ახლაც ღუპავენ...

●

— ხელისუფლებამ ვერ მოიგერია ეს დესტრუქციული ბნელი ძალა — რომელიც არ აძლევს მათ სახელმწიფოს აშენების საშუალებას!...

— საზოგადოებამ, ერმა ვერ გაანეიტრალა ეს უსაქმური, არაფრისმკეთებელი — მხოლოდ ნეგატივის შემქმნელი ძალა.

ესენი, ეს ახალი დროის ვანდალები, ბარბაროსები ცდილობენ უკან დაბრუნებას — მათ ერთხელ ხომ დაანგრიეს ქვეყანა, მოახერხეს მისი ოკუპაცია, ერის ძარცვა, თაობათა ჩაკვლა ომებში და მორგებში — და მაინც უნდათ დაბრუნება.

ამათ რატომღაც უსმენენ ელჩები და კონსულები, ვიღაც სენატორები — რა ხდება, რა უნდათ იმათ, ან ამათ ჩვენგან: ერისგან, ხალხისგან, საქართველოსგან?

●

მიმაჩნია:

ჩვენმა ელიტარულმა, აკადემიურმა, სალიტერატურო, სახელოვნებო, სამეცნიერო-შემოქმედმა საზოგადოებამ უნდა დასვას კითხვები და კატეგორიულად მოთხოვოს პასუხები პარტიებს და მათ მომყოლ არასამთავრობოებს:

— ვინ არიან ესენი?

— რას ეყრდნობა მაგათი მორალი: არ უნდათ: არცა მამული, არცა ენა, არცა სარწმუნოება. არცა სამშობლო, არც კულტურა! — ესენი ხომ კულტურის და ძეგლების დამანგრეველი „ჰიქსოსებია“...

ესენი ხომ სილაპულაპუს ტიპის კაციჭამიებია — მაგელანს რომ შეესიენ და შეჭამეს...

ილია რომ მოკლეს...

როგორც მაშინ, ახლაც —„ყველა ერთის წინააღმდეგ“! — ნახეთ, რა მორალია — ყვავ-ყორნების მორალი. ვაჟას ლექსში როა... (ვაჟასაც ჰქონდა ეს პრობლემა, მასაც უპირისპირდებოდა. ეგზარხოსის იმპერია, ზოგჯერ თემი... მაგრამ გადარჩა).

— ამ ჰიქსოსებს არ უნდა არც ეკლესია, არც პატრიარქი, არც ივანიშვილი, არც რომელიმე გამოჩინებული ქველი — რაიმეს მკეთებელი და ამშენებელი.

ესენი ვერ ხედავენ ვერც სამების ტაძარს, ვერც თეატრებს, ვერც კულტურის ცენტრებს, ვერც სანატორიუმებს, ვერც ვერაფერს — რასაც აკეთებს მხოლოდ ის ერთი!...

— მაშინ ვინ არიან ესენი, ბოქლომებით რომ დადიან, პარლამენტის კარებს რომ ამტვრევენ, რუსთაველზე რომ ჯოგობენ, 9 აპრილის მემორიალს უნიტაზებს რომ ადგამენ თავზე?

რა არის მათი ამოცანა იმათი მისია?! — მხოლოდ ძალაუფლება და რევანშიზმი: ქვეყანა, სახელმწიფო კი გინდ ყოფილა, გინდ — არა!

●

მიმაჩნია, რომ მრგვალი მაგიდის მერე ჩვენ უნდა მოვიწვიოთ დიდი კონფერენცია-ფორუმი — ყველა შემოქმედებით კავშირის და სამეცნიერო, საგანმანათლებლო ინსტიტუტების და აკადემიების, თემთა კითხული კაცების და ვკითხოთ ამათ:

— რა გაუკეთებიათ და რის გაკეთებას აპირებენ: ეროვნული დაცვის, ეკონომიკური დაცვის, კულტურული დაცვის მიმართულებით, რა კონცეფცია და ხედვა აქვთ მათ! არსებობს მათი დაწერილი პროექტი, პროგრამა, ზოგადად ქვეყნის გადარჩენის მოდელი?!

თუ მხოლოდ სიცრუეში თუ მხოლოდ ჩაშვებაში, თუ მხოლოდ დასმენაში და მხოლოდ შურში „სხვისა სიკეთესა ზედა“ — იხარშება მათი პოლიტიკა.

„პანაშვიდებს“ — რომ იხდიან ქვეყნისთვის კეთილშობილ საქმეებზე და „პარაკლისებს“ — ქვეყნისთვის საზიანო-ჭორებსა და ინფორმაციებზე...

აი, ასეთი პარტიები და არასამთავრობოები, ასეთი მოპანაშვიდე და მოპარაკლისე ტელევიზიები გვყავს დღეს...

ეტყობა, ასე იყო წარსულშიც. ჩვენ ვერც დრომ და ვერც საკუთარმა გამოცდილებამ გვასწავლა ვერაფერი.

●

ამათ — ჩვენს ლიბერასტ პარტიებს და არასამთავრობოებს — საზოგადოების ბრბოდ ქცევა უნდათ! თვითონ უკვე იქცნენ ბრბოდ და ჯოგებად... ინტელიგენცია წინ უნდა აღუდგეს ამ მოვლენას: — ერის ბორდელიზაციას და ვულგარიზაციას...

●

უნდა მკაფიოდ ავუხსნათ და გავაგებინოთ საზოგადოებას, რომ პარტიების ასეთი „უმორალო მორალი“ — ასეთი ველური ბუნება, გამოწვეულია ნაკლები რწმენით, ან გაუნათლებლობით.

ყველაზე მეტად აზიანებს ჩვენს კულტურას, ქართულ მწერლობას და ხელოვნებას! ჩვენს სამეცნიერო სივრცეს და განათლების სისტემას...

ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს, რომ მათი რამდენიმე ლიბერალური (კოჰაბიტირებული) მიდგომა — ამ ჯალათ პარტიების არსებობისთვის — ღუპავს კულტურას და სახელმწიფოსაც ერთდროულად:

ვინაიდან ქართული რასა კულტურული ფენომენია და კულტურის გარეშე ვერ იარსებებს...

ჩვენ როგორმე უნდა შევაჩეროთ ამ ხუნვეიბინური პარტიების იერიში სახელმწიფოზე და ერზე... მის კულტურაზე!

ძეგლების, ტაძრების, მონუმენტების დამანგრეველ „ჰეროსტრატეთა“ ეს ქარავანი უნდა ჩაცხრეს!

●

XIX საუკუნის საქართველო — ილიამ და ხუთიოდე მწერალმა გადაარჩინა! ჩვენ უნდა შევეცადოთ XXI საუკუნის საქართველოს გადარჩენას!

საზოგადოებას უნდა მოვუწოდოთ ჯანსაღი ხედვისკენ და სახელმწიფოს მეტი სიმტკიცისკენ და ეროვნული პოზიციისკენ.

და დასასრულს, დასკვნის სახთი ვიტყვი მთავარს:

ყველაფერს სჭირდება მორგებული შესატყვისი იდეოლოგია. არსებობს დიდი გერმანელი მოაზროვნე და ფილოსოფოსი კარლ იასპერსი: რომელმაც დაწერა წიგნი „საით მიდის გერმანია“ — სადაც ჩამოაყალიბა ასეთი დებულება: „სახელმწიფოს საფრთხეში აგდებს და ანგრევს არა ის ხელისუფლება, რომელიც მის სათავეშია, არამედ ის ხელისუფლება რომელიც გადამდგარია და ცდილობს ძალაუფლების დაბრუნებას, ის არ ითვალისწინებს სხვა ინტერესს, გარდა საკუთარი ამბიციის და რევანშის, ამდენად ეს დამანგრეველი ძალა უნდა განეიტრალდეს“...

კარლ იასპერსის ამ დებულებამ კარგად იმუშავა ფაშისტური რეჟიმების წინააღმდეგ გერმანიასა და მთელ ევროპაში. ჩვენმა ხელისუფლებამაც უნდა შეისწავლოს და გამოიყენოს იასპერსის ეს დებულება.

ხოლო ამ რეაქციული, რევანშისტული პარტიებისთვის იგი უნდა იქცეს საკუთარი ამბიციების შეცნობის და „თვითსტერილიზების“ სახელმძღვანელოდ.

„სგ“ N5.2020 წ.



# დღეს ნატოს მთავარი მიზანია, შეიარაღებული კონფლიქტი არ გასცდეს უკრაინის ფარგლებს

„... ასეთი ნატო ნამდვილად არ გვინდოდა. ასეთ მოპყრობას მათი მხრიდან ჩვენი ხალხი არ ელოდებოდა. ახლა უკრაინაში რამდენი ახალგაზრდაც დაიღუპება, მათი სიკვდილი ნატოს წევრი ქვეყნების ბრალიც იქნება“, — განაცხადა გასულ კვირას უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ნატოს მიმართა გაბრაზებულმა და მკაცრად, პირდაპირ გააკრიტიკა ალიანსი სისუსტის გამო. დაადანაშაულა უმოქმედობაში და გულგრილობაში.

„... რისი მაქნისიც არის დღეს ნატო, გამოჩნდა. უკრაინას ფრენებისთვის ცის ჩაკეტვის ნაცვლად 50 000 ტონა დიზელის საწვავს შეჰპირდნენ, ალბათ იმისთვის, რათა დავწვათ 2008 წლის ბუდაპეშტის შეთანხმება, რომელიც უკვე დამწვარია“, — განაცხადა ზელენსკიმ.

„... ნატო ისეთი ორგანიზაცია არ ყოფილა, როგორიც წარმოედგინა უკრაინელ ხალხს“, — თქვა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა დიმიტრო კულებამ.




გავიხსენოთ, ორი კვირის წინ, როდესაც ახალი დაწყებული იყო რუსეთ-უკრაინის შეიარაღაბული კონფლიქტი, ზელენსკიმ მოსახლეობისადმი ტელემიმართვაში განაცხადა: „... უკრაინა მარტო, პირისპირ დარჩა რუსეთთან ბრძოლაში“.

რატომ აღმოჩნდა მოულოდნელობა უკრაინისთვის რუსეთთან ბრძოლაში პირისპირ დარჩენა, გაუგებარია. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯო ბაიდენი, ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი, მუდამ აფიქსირებდნენ, რომ შეიარაღებულ კონფლიქტში თავიანთი ჯარებით არ ჩაერეოდნენ. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა კიევში ვიზიტისას პირდაპირ განაცხადა: „... უკრაინა თავის ბოლო ჯარისკაცამდე შეებრძოლება რუსეთს აგრესიის შემთხვევაში“. მეტი არაფერი უთქვამს და არც ჯარების შეყვანის პირობა მიუცია უკრაინელებისთვის, არც მოძმე პოლონეთის არმია იწუხებს თავს ბრძოლებში დახმარებაზე ფიზიკური ძალით. ჯერჯერობით, სავალალო აღმოჩნდა უკრაინელთა ცრუ იმედები, რომელიც თავს მოახვიეს.

ნატოსგან, აშშ-სგან, დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან, უკრაინამ დახმარების სახით დიდძალი შეიარაღება შეიძინა კრედიტებით, როდის ან როგორ გადაიხდის ქვეყანა ამხელა ვალს, უცნობია.

დასავლეთის ქვეყნებმა მკაცრი ეკონომიკური სანქციები დაუწესეს რუსეთს უკრაინაში შეჭრისთვის, მაგრამ რამდენად ეფექტურად იმუშავა, შეაჩერა რუსეთის აგრესია, ყველა ხედავს. მსოფლიო საზოგადოებაში უკრაინის ტერიტორიულმა მთლიანობამ, მოსახლეობის მდგომარეობამ, აქტუალობა დაკარგა. რუსეთს მხოლოდ შორიდან ემუქრებიან. გასულ კვირას ბორის ჯონსონმა თქვა: „... მანამდე გავაძლიერებთ სანქციებს, ვიდრე რუსეთს არ შევაჩერებთო“. სავარაუდოდ, ამ განცხადებით, უკრაინელების წინაშე უბრალოდ ვალი მოიხადა.

თითქმის ორი კვირაა, რაც რუსეთი უკრაინაში ახორციელებს სამხედრო ოპერაციას, როგორც უწოდებენ, „უკრაინის დენაციოანალიზაცია-დემილიტარიზაციას“. ფაქტობრივად, მიმდინარეობს სამოქალაქო ომი. ჯო ბაიდენის მიმართვაში რუსი ხალხისადმი, ნათქვამია: „... ძნელი დასაჯერებელია, რომ მოხდა შეიარაღებული დაპირისპირება უკრაინელებსა და რუსებს შორის. თქვენ ხომ ერთი წარმომავლობა გაქვთ.“ მართალიც არის, თუმცა გარკვეულმა ძალებმა მოახერხეს და დააპირისპირეს ორი მოძმე ერი.

სამწუხაროდ, დიპლომატებსა და პოლიტიკოსებს არაფერი გაუკეთებიათ საფრთხის თავიდან ასაცილებლად. აშშ-ს გადამდგარი სამხედრო პოლკოვნიკი დუგლას მაკგრეგორი, რომელიც მსახურობდა სხვადასხვა საკვანძო თანამდებობებზე, პირდაპირ ადანაშაულებს აშშ-ს, ნატოს, ევროპის ქვეყნების ხელისუფლებებს — „... გაუმართლებლად წაუყრუეს რუსეთის პრეტენზიებს, არ გაითვალისწინეს, არ გააანალიზეს მათი წინადადებები და საქმე საომარი ვითარების დაწყებამდე მიიყვანეს“.

არსებობის მანძილზე მხოლოდ მეთერთმეტედ გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო სხდომა. განსახილველი საკითხი უკრაინაში მიმდინარე მოვლენები იყო. საგანგებო სხდომის მოწვევა აშშ-მა მოითხოვა, რადგან უშიშროების საბჭოზე საკითხს რუსეთმა ვეტო დაადო. მიღებული იქნა რეზოლუცია, რასაც 144-მა ქვეყანამ დაუჭირა მხარი, ხოლო 40 წინააღმდეგი წავიდა. უკრაინის წამომადგენელმა მისი ქვეყნის გაეროში ყოფნა დააამადლა სამყაროს — უჩვენოდ გაერო ვერ იარსებებსო. რუსეთის წარმომადგენელმა უკრაინასთან ერთად დასავლეთი დაადანაშაულა — უკრაინა არ აიძულეს შეესრულებინა მინსკის ხელშეკრულების შესრულება, რამაც მიგვიყვანა შეიარაღებულ კონფლიქტამდეო.

პრეზიდენტის რანგში პირველად




მიმართა ჯო ბაიდენმა კონგრესს. ყოველწლიურ ტრადიციულ გამოსვლას, რომელზეც პრეზიდენტი ანგარიშს აბარებს ერთწლიანი მუშაობის შედეგებზე, ორივე პალატის წარმომადგენლები ესწრებიან. თავის გამოსვლაში ბაიდენმა დიდი დრო დაუთმო უკრაინას, ისაუბრა რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებზე, რუსეთთან საჰაერო მიმოსვლის შეჩერებაზე, რასაც ორივე პარტიის წევრები ოვაციებით ხვდებოდნენ. თუმცა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა — აშშ უკრაინა-რუსეთის შეიარაღებულ კონფლიქტში არ ჩაერევა. პრეზიდენტის მოსვლამდე უსაფრთხოებიდან გამომდინარე, კონგრესის შენობა შემოღობეს. თუმცა კონგრესში გამოსვლას კურიოზის გარეშე არ ჩაუვლია. „... პუტინმა შეიძლება დაიკავოს კიევი, სხვა დიდი ქალაქები, მაგრამ ირანელთა გულებს ვერ დაიპყრობს“. ამას კიდევ ერთი „მარგალიტიც“ დაუმატა. შაბათს ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა: „... დღეს იქამდე მივიდა საქმე, პუტინი რუსეთში შეიჭრა, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღარ ყოფილა“.

დაწესებული სანქციების მიუხედავად, აშშ-ს კანონმდებელთა ნაწილი არასაკმარისად მიიჩნევს რუსეთის წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებს და მიაჩნიათ, რომ აშშ-ს ადმინისტრაციამ უნდა გაუზარდოს უკრაინას ფინანსური დახმარება. საბრძოლო იარაღის შესაძენად. მართალია, გასულ კვირას 350 მილიონი დოლარი გამოუყვეს, მაგრამ მაინც არასაკმარისად მიაჩნიათ. სენატორმა ლინდსი გრემიმ, მინიშნებით, რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის ფიზიკური ლიკვიდაციის იდეა წამოაყენა. სენატორის გამონათქვამისთვის რუსეთს ჯერ არ უპასუხია, მაგრამ არსებული რთული მდგომარეობა ორ ქვეყანას შორის უფრო გამწვავდა.

მწვავე ვითარებდან გამოსვლის ძიებაშია ზელენსკი. მან გასულ კვირას ოფიციალური თხოვნით მიმართა ევროსაბჭოს, დაჩქარებული წესით გააწევრიანონ უკრაინა ევროკავშირში. ასევე ითხოვა ფინანსური დახმარება საბრძოლო თვითმფრინავების შეძენაში.

უკრაინა დაარეგისტრირეს, როგორც ევროკავშირის წევრობის კანდიდატი, მაგრამ გაწევრიანებას არ ჩქარობენ. ევროჩინოვნიკ შარლ მიშელის განცხადებით, ევროკავშირის ქვეყნებს განსხვავებული აზრი აქვთ უკრაინის დაჩქარებული წესით გაწევრიანებაზე. მისივე განცხადებით, ევროკავშირი ვალდებული სულაც არ არის დაუფინანსოს უკრაინას საბრძოლო თვითმფრინავების შეძენა.

რუსეთ-უკრაინის დელეგაციებს შორის მოლაპარაკებების მეორე რაუნდი გაიმართა ბელორუსში. პირველი უშედეგოდ დამთავრდა. მეორე შეხვედრა ბელოვეჟის ნაკრძალში გაიმართა. (სწორედ აქ მოაწერეს ხელი რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსიის იმდროინდელმა პრეზიდენტებმა საბჭოთა კავშირის დაშლის აქტს). შეთანმხმდნენ, ალყაში მყოფი ქალაქებიდან ე.წ. „მწვანე კორიდორებს“ გაუხსნიდნენ იქ ჩარჩენილ მშვიდობიან მოსახლეობას. თუმცა შეთანხმება დღემდე შეუსრულებელია. მხარები ერთმანეთს აბრალებენ მოსახლეობის ევაკუაციის ჩაშლას. ალყაში მყოფ ქალაქებში ჰუმანიტარული კრიზისები მძვინვარებს. გავრცელებული ინფორმაციით, ნაცბატალიონებში უარს ამბობენ დაემორჩილონ პრეზიდენტს და არაფრად აგდებენ სამთავრობო ჯარების მითითებებს. იუწყებიან, რომ ქალაქ მარიუპოლში შეტაკება მოხდა სამთავრობო ჯარებსა და „აზოვის“ მებრძოლებს შორის. არის მსხვერპლიც. რუსეთ-უკრაინას შორის მოლაპარაკებები კვლავ გრძელდება. აშშ-ის




სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა ზელენსკის პირდაპირ მიმართა: „რუსეთთან ყოველგვარ მოლაპარაკებას აშშ-ი ემხრობა და მხარს უჭერსო“. მოლაპარაკება ერთია, მთავარია, ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

გასულ კვირას ბრიუსელში გაიმართა ნატოს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა. განიხილავდნენ უკრაინის ცის ჩაკეტვის საკითხს, რომელსაც დაჟინებით ითხოვს ზელენსკი. შეხვედრა უკრაინელებისთვის უშედეგოდ დასრულდა. ნატოს გენერალური მდივნის განცხადებით, „...ნატო კონფლიქტის მხარე არაა და საბრძოლო მოქმედებებში არ ჩაერევა“.

ბლინკენი დუმილით დაეთანხმა გენმდივანს. მათივე თქმით, „...ალიანსი თავდაცვის სისტემაა, რომელიც მომავალში კიდევ უფრო გაფართოვდება და გაძლიერდება.“ ბლინკენმა და სტოლტენბერგმა ხაზგასმით აღნიშნეს: დღეს ნატოს მთავარი მიზანია შეიარაღებული კონფლიქტი არ გასცდეს უკრაინის ფარგლებს. თქვეს ისიც, რომ ალიანსი არ აპირებს საბრძოლო მოქმედებებში ჩართვას, რადგან ასეთ შემთხვევაში, გაიზრდება საომარი მოქმედებების არეალი და შესაძლოა, ის ბირთვულ ომშიც გადაიზარდოს. ამ აზრს იზიარებენ თეთრ სახლშიც. პრესსამსახურის უფროსის ჯენ ფსაკის განცხადებით: „... უკრაინაში ცის ჩაკეტვის შემთხვევაში შესაძლებელია შეიარაღებული კონფლიქტი მოხდეს აშშ-რუსეთის სამხედროებს შორის, რაც გლობალურ ომში გადაიზრდება. სწორედ ეს არ უნდა პრეზიდენტ ბაიდენს“.

ცის ჩაკეტვაზე უარი უკრაინის ხელისუფლებისთვის, განსაკუთრებით ზელენსკისთვის, ცივი შხაპი აღმოჩნდა. დახმარებისთვის აშშ კანონმდებლებსაც მიმართა, რომლებიც მორალურ მხარდაჭერას დაჰპირდნენ. სხვისი იმედით საბრძოლო მოქმედებების დაწყება, როგორც ვხედავთ, თურმე, გაუმართლებელია.

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა სამი დღის წინ განაცხადა: „...არავინ უარყოფს, რომ რუსეთი მსოფლიოში ძლიერი სახელმწიფოა. ნატო არ ჩაერთვება საბრძოლო მოქმედებებში. საერთოდაც, უკრაინის ალიანსში გაწევრიანება თავიდანვე უპერსპექტივო იყო“. ჩვენთვისაც გასათვალისწინებელია გამოთქმული მოსაზრებები.

გია ბურდული
551 71 27 07

# ვინ არის დავით არახამია, იგივე მისტერ ბრაუნი?

## დავით არახამიავ, არ ხარ შენ ქართველი და ქართველობის გამო ტყუილად ნუ იწვი სირცხვილით, ბიჭო...



გამოდიან არაუკრაინელები და ლაპარაკობენ უკრაინელების სახელით!

გამოდიან არაქართველები და ლაპარაკობენ ქართველების სახელით!

გამოდიან არაუკრაინელები და გვსაყვედურობენ უკრაინელების სახელით!

გამოდიან არაქართველები და მათ რცხვენიათ ქართველობის!

ვისაც ქართველობის რცხვენია, ის არ არის ქართველი. ასეთ კრეტინს საერთოდ არ გააჩნია ეროვნება, ის უბრალოდ ხორცის მასაა!



ზოგიერთმა „ქართველმა" ქართული არც კი იცის, რუსულად მიმართავს საქართველოს მოსახლეობას და რუსულადვე აცხადებს, რომ რცხვენია ქართველობისა.

ვინ არი ეს ვინმე დავით არახამია, რა უნდა, ვის მაგივრად ლაქლაქებს, რას ითხოვს რუსულ ენაზე?

ეს არის უკრაინის რადას ფრაქცია „ხალხის მსახურის" თავმჯდომარე. ამას წინებზე მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, ეს ბიჭი მე დავაფრთიანეო (უკვე გასაგებია, ვისთან გვაქვს საქმე, ხომ?). სანამ მის შესახებ ორიოდ სიტყვით მოგახსენებთ, მოდით, ვნახოთ, რას გვთხოვს?

„გამარდჟობა"! — ასე დაიწყო ამხანაგმა არახამიამ თავისი „მომართვა":

„მინდა მივმართო ქართველ ხალხს და პირველ რიგში საქართველოს ხელისუფლებას. დღეს გახდა ცნობილი, რომ რუსეთმა ეკონომიკური სანქციები და ბარიერები მოხსნა ქართულ რძეზე, ღვინოზე და ა.შ. იმისთვის, რომ მოიპოვოს საქართველოს ლოიალური დამოკიდებულება უკრაინა-რუსეთის ომში. მინდა, ყველა ქართველს ვუთხრა, რომ მე თავად ვარ ქართველი. როცა რუსეთი საქართველოს ვერაგულად დაესხა თავს, უკრაინამ მაშინვე, საკუთარი ეკონომიკური დანაკარგების მიუხედავად, ყველა საჭირო დახმარება აღმოუჩინა საქართველოს — მიაწოდა სამხედრო ტექნიკა, გამოგზავნა სამხედრო ინსტრუქტორები იმისათვის, რომ მხარი დაეჭირა მეგობარი ქვეყნისთვის, ძმა ერისთვის. ეს არის საქართველოს პასუხი? თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ნორმალური პასუხია საქართველოსგან უკრაინის მიმართ მაშინ, როცა რუსეთი თავს გვესხმის? გთხოვთ, ქართველო ხალხო, მე მჯერა თქვენი, გაარკვიეთ საქმე თქვენს მთავრობასთან, გადაწყვიტეთ ეს საკითხი იმიტომ, რომ ჩვენ არ ვისურვებდით, ასეთი ღალატი და ზურგში დანა გვენახა ქართველი ხალხისგან. მე ყოველთვის ვამაყობდი, რომ ქართველი ვარ, ვცხოვრობ უკრაინაში, ხელისუფლებაში ვარ და დღეს ნამდვილად მრცხვენია"!

ეს ბიჭი 1979 წელს სოჭში დაბადებულა. როგორც ამბობენ, მისი ოჯახი გაგრაში ცხოვრობდა. სანამ აფხაზეთში ომი დაიწყებოდა, ერთ ხანობას თბილისშიც უსწავლია. თუმცა, როგორც ჩანს, ეს იმდენაც მცირე დროში მოხდა, ორი ღერი ქართულის ათვისება ვერ მოასწრო.

თბილისის ყოფილი მერის, ნიკო ლეკიშვილის თქმით: „როცა გაგრის ბატალიონი შეიქმნა, ყველა ქართველი გაერთიანდა ამ ბატალიონში. ამ არახამიას მამამ, იმის მაგივრად, მოხალისედ ჩაწერილიყო, დაავლო ხელი ოჯახს და რუსეთში გაიქცა, ქართველებს გაექცა".

ეს იყო იმ დროს, სანამ გაგრა და სოხუმი დაეცემოდა. შემდეგ ის უკრაინაში გადაბარგდა, სკოლა ნიკოლაევში დაამთავრა, ფაქტობრივად რუსმა ბებიამ გაზარდა. შემდეგ იყო ინსტიტუტი, მოხალისეობა, აქტივისტობა, პეტრო პოროშენკოს ორდენი მოხალისეობისთვის. მალე დააწინაურეს — თავდაცვის მინისტრის სრულუფლებიანი წარმომადგენელი გახდა შესყიდვების საკითხებში. როგორც უკვე აღვნიშნე, არახამია (ფსევდონიმით „ბრაუნი") ამჟამად უკრაინის რადაში ფრაქციის ხელმძღვანელია და მას შემდეგ, რაც ომი დაიწყო, რუსებთან მოლაპარაკებებზეც დადის.

რამ გაანაწყენა ქართველი მისტერ ბრაუნი, რატომ მოუნდა იმის თქმა, რომ ჩვენ საქართველოს მთავრობა უნდა გადავაყენოთ? რუსულმა მედიამ სახელმწიფო სტრუქტურებზე დაყრდნობით გაავრცელა, რომ რუსეთი ქართული რძის საწარმოებს პროდუქტების გატანას სთავაზობს რუსულ ბაზარზე. სურსათის ეროვნულ სააგენტოში დაადასტურეს, რომ საქართველო 2020 წლიდან მუშაობს ამ საკითხზე. აი, ეს ეწყინა და ეგრევე მოგვდგა, უმადურები ხართო, 2008-ში რუსებმა რომ შემოგიტიეს, იარაღი მოგეცითო. ამან ძალიან კარგად იცის, რომ ქართველებს არავისი ვალი არ გვაქვს, მით უფრო უკრაინელებისა, მაგრამ მისი მოკლე ჭკუით, ახლა ასეა საჭირო, იქნებ როგორმე ომში ჩაგვითრიოს, იქნებ გაავებულმა პუტინმა მიწასთან ჩვენც გაგვასწოროს?!

როგორც სამხედრო გენერალი ამირან სალუქვაძე ამბობს, კონკრეტულად ომის დღეებში საქართველოს, არათუ უკრაინა, საერთოდ არავინ დახმარებია:

„რა ბრალდებებია, რა დაყვედრებებია, რაზე ვსაუბრობთ? ტექნიკის მოყიდვას გვაყვედრის არახამია? შევეცდები, აგიხსნათ -

სანამ სააკაშვილი თანამდებობიდან გადამაყენებდა, პირადად ვიყავი ჩართული საავიაციო და საჰაერო თავდაცვის ტექნიკის შესყიდვის ხელშეკრულებების მომზადებაში. იმავე წლებში ერთსა და იმავე ტექნიკას გაცილებით იაფად გვთავაზობდა ზოგიერთი სხვა ქვეყანა. ეს ისე.

2005 წელს უკრაინასთან მიღწეული შეთანხმებით, საზენიტო კომპლექს „ოსა"-ს უკრაინა გვთავაზობდა 6 მილიონად. ჩემი გადაყენების შემდეგ — 9,5 მილიონად. პასიურ რადარ „კოლჩუგას" გვთავაზობდნენ 9 მილიონად, ჩემი გადაყენების შემდეგ მოგვყიდეს 16,5 მილიონად. ჯამში, ამ ორ დასახელებაზე, ზედმეტად გადახდილია 25 მილიონი დოლარი. ეს გარიგებები არ ეხება ქართველ და უკრაინელ ხალხს, არც დასაყვედრებელია ვინმეს მხრიდან. არსებობს გაეროს ანგარიშები, რომლებშიც დეტალურადაა ასახული საქართველოს მიერ უკრაინიდან შეძენილი ტექნიკის ჩამონათვალი".

ეს უკვე ცალკე თემაა, შემდეგში (როცა ომი დასრულდება) შეიძლება უფრო ფართოდ ვისაუბროთ იმაზე, 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, ვინ რით დაგვეხმარა, ვინ რა მოგვცა, ვინ რა გამოგვიგზავნა. ტარანი თვლით არი, დავითვალოთ, ვიანგარიშოთ, გავაანალიზოთ, გავარკვიოთ, ვისი ვალი გვაქვს, ვის ჩვენი ვალი აქვს და ასე შემდეგ. მე დარწმუნებული ვარ, ქართველ ხალხს არავისი არაფერი მართებს, არც რესლურად, არც სიმბოლურად, არც მორალურად, მით უფრო არაფერი გვმართებს ვინმე არახამიასი, რომელმაც ქართულად მხოლოდ „გამარდჟობა" იცის და რუსულად გვეუბნება, ქართველობის მრცხვენიაო. გაიგონეთ? ტიპს მიხეილ სააკაშვილთან მეგობრობისა არ რცხვენია და თურმე ქართველობის გამო სირცხვილით იწვის. ქართველი არა, იხვის ტოლმა, მისტერ ბრაუნ!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61






# ომი უკრაინაში – XXI საუკუნის სირცხვილი!

## იცით, რა იქნება ნამდვილი გმირობა? თუ მთელი ცივილიზებული სამყარო რუსებსა და უკრაინელებს შორის ჩადგება და ამ საშინელ ომს შეაჩერებს!

მშვენიერი მაგალითი ჰქონდა ზელენსკის სააკაშვილისგან.

2008 წლის აგვისტოში საქართველო, ფაქტობრივად, მარტო დაეჯახა რუსეთის შეიარაღებულ აგრესიას ცხინვალის რეგიონში, მაგრამ მაშინ მსოფლიოშიც სხვა ვითარება იყო და რეგიონშიც. სააკაშვილს ჯერ კიდევ დემოკრატიის შუქურას უწოდებდნენ და ფერადოვანი რევოლუციების ტალღის გუგუნი ისევ ფარავდა საღ აზრს...

ამიტომაც დაიძრნენ მსოფლიოს მაშინდელი ლიდერები მოლაპარაკებების მიზნით საქართველოსკენ და მადლობა ღმერთს, 5 დღეში დამთავრდა სისხლისღვრა...

სააკაშვილმაც აღიარა მაშინ და ყველამ ვიცით, ომში რომ ჩაება, ცხინვალის სეპარატისტული რეგიონის დაბრუნება მიხეილს დასავლეთის მხარდაჭერით ჰქონდა განზრახული...

დღეს რა ფართომასშტაბიანი განზრახვები უტრიალებს თავში ვოლოდიმირ ზელენსკის, თავად ყველაზე კარგად იცის, მაგრამ, ფაქტია, რომ მას დასავლეთის ძალების იმედი აქვს რუსეთთან კონფლიქტში...

ამ დახმარების მოლოდინში დრო გადის და ადამიანები იხოცებიან..

ზელენსკიზე ამბობენ, რომ გმირია, იმის მიუხედავად, რომ ვერ შეძლო მოლაპარაკება რუსეთთან, სახელმწიფო გაწირა, ჩააბა ომში, რის გამოც გაპარტახდა უდიდესი რესურსების მქონე 46 მილიონიანი ქვეყანა, განადგურდა ოჯახები...

სააკაშვილი არასდროს დამიცვია, მაგრამ მაშინ რას ვერჩით მიშას, ისიც გმირი გამოდის...

საკუთარი ხალხის ომში ჩამბმელებს, ქვეყნის ტერიტორიების გამპარტახებლებს 21 საუკუნეში გმირები ეწოდებათ.

პარადოქსია, პირდაპირ.

ფაქტი კი ჯიუტია: უკრაინა ისეთივე ძვირფასია მსოფლიოსთვის, როგორც არის ნებისმიერი სახელმწიფო, მაგრამ არც ისე ძვირფასია, რომ მათი გულისთვის გლობალური ომი დაიწყოს.

პოლიტიკის ექსპერტი **დემურ გიორხელიძე** მიიჩნევს, რომ „არ შეიძლება ქვეყანა დააჯახო უზარმაზარ სამხედრო ძალას... იარაღს თუ მიაწოდებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ მსხვერპლის რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება.

ყველაზე შემაძრწუნებელი ისაა, რომ კოლექტიური დასავლეთი დიპლომატიის გზით არ ახდენს ზეწოლას რუსეთზე. რატომ არ შეიძლებოდა, ამ სიტუაციაში დასავლეთის პოლიტიკური ლიდერები რუსეთის წარმომადგენლობას შეხვედროდნენ და ელაპარაკათ?

საბოლოო ჯამში ვინ ზარალდება? — ისევ, ხალხი. უკრაინელები და რუსები, უკრაინელი და რუსი ხალხი, ერთი ფუძის ხალხია, ამის უარყოფა არ შეიძლება.

ამიტომ მე არ ვიზიარებ იმ რიტორიკას, რომ, აი, დაეხმარებიან უკრაინას. რა დროს დახმარებაა, გააჩერეთ ომი!... ბოლო უკრაინელამდე თუ გინდათ გაწყვიტოთ — სხვა თემაა.

ცალმხრივი სანქციები გამორიცხულია. იგივე შეერთებული შტატებისა და რუსეთის ურთიერთგავლენა არის ფანტასტიკურად მაღალი, რომელიც ქართველებმა, ფაქტობრივად, არ იციან. ევროპისა და რუსეთის გადაჯაჭვულობა საკმაოდ მყარია. ამ დღეებში გაირკვევა რუსეთის, ევროკავშირის



ქვეყნებისა და ბრიტანეთის ურთიერთობის საკითხები\. ... შეიძლება გაწყდეს დიპლომატიური ურთიერთობები. ასე აცხადებს რუსეთი. არ გამოირიცხება ემბარგოს საკითხიც, რაც იმას ნიშნავს, რომ არაფერი რუსეთიდან ევროპაში არ გავა.

ქართველების იმედი, რომ სანქციები რუსეთს დაანგრევს, არაა სწორი, სანქციები რუსეთს ავნებს, მაგრამ არაფერს არ უზამს.

სანქციები, რაც ირანს დაუწესეს და დღემდე აქვს, იმის მსგავსი რუსეთს არ აქვს დაწესებული.

არანაირი შეზღუდვები გადარიცხვებზე ენერგომატარებლების კუთხით არ განხორციელებულა. ჩაკეტეს მხოლოდ რამდენიმე ბანკი. არც ერთ საერთაშორისო ბანკს არ აკრძალვია რუსეთთან ურთიერთობა. ასე რომ, ჯერჯერობით, არაფერი არ შეწყვეტილა დასავლეთიდან რუსეთის მიმართ.

რას მოელოდა ზელენსკი ამ კონფლიქტიდან კარგად არ ვიცი, ის ვერ ჩაკეტავს საჰაერო სივრცეს, რადგან მაშინ რუსეთმა უნდა ჩამოყაროს ნატოს თვითმფრინავები, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს იქნება დასაწყისი იმ ომისა, რომელშიც, ჩემი აზრით, ვერავინ გაიმარჯვებს.

ბევრ იარაღს მისცემენ უკრაინას და ბევრი ხალხი მოკვდება, ამის გაკეთებას ჯობს, მოიწვიონ სამიტი და ეს ყველაფერი შეაჩერონ. დაე, ყველაფერი გადაწყდეს დიპლომატიის გზით.

**უკრაინელი ხალხის სიკვდილის ხარჯზე ვის აქვს უფლება ივაჭროს პოლიტიკური მიზნებით?!**

დღეს არ ვისაუბრებ გეოპოლიტიკური ინტერესების დისბალანსზე, რამდენიმე პლასტია დაპირისპირების, რისი განხილვისთვის ქართველი ხალხი დღეს მზად არ არის.

სამად სამი ომი აქვთ რუსებს წაგებული, რომელიც მის ტერიტორიაზე არ გამართულა. ეს იყო ყირიმი, 1857 წელს, პორტარტურში იაპონელებნთან, მაგრამ ეს არ იყო ის ომები, რომლებიც რუსებმა თავიანთ ტერიტორიაზე წააგეს“.

მაგრამ მაინც, რადგან, ქართული რიტორიკით, მსოფლიოში ყველა ქვეყნისგან განსხვავებით, მხოლოდ „რუსეთია ოკუპანტი“, ჩვენ უნდა ვებრძოლოთ მას, რადგან ზოგიერთების აზრით, სწორედ ახლაა დრო აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დაბრუნების.

როგორ და რანაიარად, ეს, ეტყობა, ფანტაზიის სფეროს განეკუთვნება, მაგრამ საქმე ისაა, რომ აფხაზებსა და ოსებს არ ვეკითხებით, უნდათ თუ არა ეს „დაბრუნება“. ბოლოს და ბოლოს, ომით ვიბრუნებთ, ანუ ძალით ვატყვევებთ აფხაზებს და ოსებს და ძალით ვამყარებთ „ჩვენს“ ძალაუფლებას, თუ დამოუკიდებელ წარმონაქმნებს ვინმე უცხოეთიდან დააძალებს და სუვერენიტეტს დაათმობინებს?

მითხარით, რომ დემოკრატია არ გამქრალა ევროპაში, თორემ ილუზიასა და ნიჰილიზმს შორის გავიჭედე უკვე.

მთელი ცხოვრება მესმოდა, ქართვლები ტოლერანტები ვართო, თუმცა ეჭვი მეპარება უკვე ამაშიც, თანაც საქართველოში ფერადკანიანების უფლებებს კი იცავენ, მაგრამ, მაგალითად, რუსები ეზიზღებათ. ჯანდაბას რუსების თავი, მაგრამ ევროკავშირში ხომ გვინდა შესვლა და ემანდ, ჰომოფობობა და ფაშიზმისაკენ მიდრეკილება არ დაგვწამონ, ცოტა ფრთხილად რომ ვიყოთ? ვკითხულობ, მაინც...

ამასობაში ის ე.წ. ოპოზიცია რუსთაველის გამზირზე ხელისუფლებას აკრიტიკებს, არ ებმება ომშიო. ჭრელო პეპელას ამბავია, მე და ჩემმა ღმერთმა, ომის ქარცეცხლში რომ ჩაება „ქართულ ოცნებას“ საქართველო, მით უფრო, რომ მრავალჯერ იყო ამის საშიშროება, მაშინ გეკითხათ, ნაცების, ნაცმადიდებლებისა და ოპპარტიების წყევლა და ფურთხება — ძირს „ოცნება“, წინ გამარჯვებისკენო...

დემურ გიორხელიძის აზრით, „დავუშვათ ჩავებით ამ კონფლიქტში. რას შევძლებთ ჩვენ.

30 წლის წინ საბჭოთა კავშირის დაშლის შმედეგ ევროპის ყველაზე დიდი სახელმწიფო გახდა უკრაინა, თავისი უდიდესი პოტენციალით. ის რომ განვითარებულიყო თანამედორვე ცივილიზაციის ფეხდაფეხ, ვერანაირი გერმანია, ან საფრანგეთი უკრაინელებთან ახლოსაც ვერ მივიდოდ.

პუტინი დამარცხდება თუ არა, ამ ტრაგედიას გამართლება მაინც არ აქვს.

დღეს არ საუბრობენ მთავარ გეოპოლიტიკურ დაპირისპირებაზე, თუმცა ყველაფერს ცდილობენ, რაც შეიძლება დიდი ომი გაჩაღდეს უკრაინასა და რუსეთს შორის\. ... ვის რა მიზნები აქვს, ახლა არ ვსაუბრობ, არაა ახლა ამის დრო და სამწუხაროა, რომ მე ვერ ვხედავ ვერანაირ სურვილს ომის შეწყვეტის.

ტაშფანდური დაიწყეს. ასეთი კომკავშირლობა როგორ შეიძლება.

შოლცმა განაცხადა: უარი რომ ვუთხარით უკრაინას და საქართველოს ნატოში შესვლაზე, სწორი იყოო.

20 წელიწადია ვწერ, რომ არ მიიღებენ საქართველოს ნატოში, იმიტომ რომ, ეს ცვლის გეოპოლიტიკურ ლანდშაფტს, რომელიც შეიძლება მხოლოდ დიდი ომის შემდეგ მოხდეს. რატომ მიდის პროპაგანდა? იმიტომ რომ, ეს არის პოლიტიკა და ეს არის ზეწოლა რუსეთზე.

ერთი ტოტალიტარული სისტემა ჩანაცვლა მეორემ, რომელიც ეუბნება ახალგაზრდებს, რომ თქვენი დედები მამები და მათი დედ-მამა იყვნენ ბნელები, ამის გარდა რაიმე ინსტიტუცია შეიქმნა? განათლება გაძლიერდა? დისკუსიის კულტურა და არა უზრდელობა. ანუ მარტო პროპაგანდა, რაღაც დაფინანსების მაგვარი, ქვეყნის შიგნით სიტუაციის მოსპობა.



ყოველთვის ვამბობდი და სულ ვიტყვი|: ნატოში შესვლის შემოთავაზება დასავლეთის მხრიდან ყველაზე ცუდი წინადადება იყო, რადგან ეს იყო დიდი ომის წინაპირობა!!!

ანუ ჩვენ შევალთ ნატოში, თუ დასავლეთი გაანადგურებს რუსეთს, გაიამარჯვებს და ჩვენ შეგვიყვანს ნატოში.

22% ტერიტორიების დავკარგეთ და ვისი გამოისობით დავკარგეთ? დავკარგეთ ჩვენი ხელისუფლების პროვოკაციული ქმედებებით, რომლის უკან იდგა დიდი გეოპოლიტიკური ინტერესი.

საქართველოში ძალიან ძლიერია მეხუთე კოლონა. რამდენიმე მიმართულებისაა ეს კოლონა. ისინი შექმნილია იმის რეალიზაციისთვის, რისთვისაც შექმნილია ეს კოლონები.

დღეს აუცილებელია საქართველოში არ მიეცეს პროვოკაციას შესაძლებლობები. 1000% შემიძლია გითხრათ, რომ, თუ პროვოკაციები გაგრძელდება, აქ უბედურება მოხდება.

უკრაინის ომი არ გაჩერდება, თუ ძალა არ დაუპირისპირდა რუსეთს. რას გამოიწვევს დასავლეთის მიერ მოწოდებული იარაღი? რას და, უფრო მეტი უკრაინელის განადგურებას“, — ამბობს დემურ გიორხელიძე.

არც ერთი სახელმწიფოს მეთაური არაა გმირი, რომელიც თავის ქვეყანას თავისი მმართველობის პერიოდში ომში ჩაითრევს, ისტორია ამ ომში მხოლოდ მის მოწინაამდეგე მხარეს დადგება, მით უმეტეს, რომ დასავლეთი, რომლის იმედი აქვს, როგორც ჩვენს თანამემამულეებს, ისე, როგორც ეტყობა, უკრაინის პრეზიდენტსაც, იარაღს აწვდის უკრაინას, პარალელურად კი გაზის საფასურს მილიონობით დოლარს ურიცხავს, ხოლო ნატო, რომელიც, როგორც ჩანს, ბაზალეთის ტბაში დარწეული აკვნის მაგივრად, დღეს ყველა ქართველის სანუკვარი ოცნებაა, უარს აცხადებს, საჰაერო ბლოკადაზე.

მე რომ ვამბობ, ქართველებო, ჩვენს მცირერიცხოვნობას გავუფრთხილდეთ და ძროხა დაკლეს, მე წამაკლეს, ხარი დაკლეს, მე წამაკლეს, ამბავში, ნუ გავიწირებით-მეთქი და რა ვიცი, თანამედროვედ არ ლაპარაკობო და აჰა, გავჩუმდები, მაშინ...



**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# რატომ ითხოვენ ჭუჭულიკა მწერლები პრემიერ-მინისტრის გადადგომას?

## ესენი იმათი შთამომავლები არიან, 1937-იან და შემდგომ წლებში „დანოსებს“ რომ წერდნენ ლავრენტი ბერიას სახელზე

ქართველი მწერლები პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომას ითხოვენ და ხელმოწერებს აგროვებენ. მოგროვილი ხელმოწერები სად უნდა წაიღონ, არ ვიცი, საერთოდ პარლამენტში შეაქვთ ხოლმე და ესენი ალბათ მხატვარ გია ბუღაძეს მიუტანენ ერთ ადგილას გასაკეთებლად.

მოკლედ, ე.წ. ქართველი „მწერლები“ აცხადებენ:

„ქართველი მწერლები და გამომცემლები მოვითხოვთ სახელმწიფო ინტერესების ღალატისთვის, ამორალური განცხადებებისა და ქმედებების გამო, სასწრაფოდ გადადგეს თანამდებობიდან საქართველოს პრემიერ-მინისტრი!

ამ უმძიმეს ვითარებაში დაუშვებელია ჩვენს ქვეყანას წარმოადგენდეს ადამიანი, რომელიც არ გამოხატავს ხალხის ნებასა და ინტერესებს“!

განცხადებას ხელს აწერენ: ირაკლი კაკაბაძე (იაკი კაბე), ზაალ ანდრონიკაშვილი, დიანა ანფიმიადი, ბექა ქურხული, გიორგი არაბული, ბელა ჩეკურიშვილი, ვასო გულეური, ტორესა მოსი, თამთა მელაშვილი, ნესტან ნენე კვინიკაძე, ნატო ალხაზიშვილი, ქეთი ქანთარია, თორნიკე ჭელიძე, ნათია გიორგაძე, ნუკა ღამბაშიძე, გიორგი შონია, ნიკა ლაშხია, ნინია მაჭარაშვილი, ხათუნა თავდგირიძე, რატი მუჯირი, გვანცა ჯობავა, მანანა



მათიაშვილი, ლექსო ქურხული, ზვიად კვარაცხელია, მაია კუდავა, მაკა კასრაძე, მაია ლიპარტელიანი, დათო გორგილაძე

იუნონა გურული, ირინე ჭოღოშვილი, ნინია სადღობელაშვილი, ზურა პოპიაშვილი, პაატა შამუგია, სოფიო კუბლაშვილი, კატო ჯავახიშვილი, ქეთი ნიჟარაძე, რუსუდან რუხაძე, ნანა აბულაძე, თეონა დოლენჯაშვილი, რეზო გეთიაშვილი, ნიკა ჩერქეზიშვილი, ლუკა ბაქანიძე, შორენა ლებანიძე, ანა მილაშვილი, დალილა გოგია, ოთარ ჯირკვალიშვილი, მარიამ წერეთელი, ზაზა კოშკაძე, არჩილ ქიქოძე, ნანა გოგოლაშვილი, მიხეილ ციხელაშვილი, მაკა ლდოკონენი, თეონა ჭანიშვილი, ლანა კალანდია, ალექსანდრე ლორთქიფანიძე, ეკატერინე ტოგონიძე, თამარ კვიჟინაძე, თემურ ჩხეტიანი, ინა კულიშოვა, ნანა აკობიძე, ლელა ცუცქირიძე, გიორგი ჩუთლაშვილი, თაკო ფოლადაშვილი, მაია დონაძე, ანა კოპალიანი, მათე სარალიშვილი, მაია ალუდაური, ბოსო სოლომანაშვილი, ლელა კოდალაშვილი, გიორგი კაკაბაძე, ლადო კილასონია, ნატო დავითაშვილი, თორნიკე სიბაშვილი, დარეჯან კიკოლიაშვილი, გია გოკიელი, გიორგი ხარაიშვილი.

ეს არ გახლავთ სრული სია, ხელმოწერები გრძელდება. დარწმუნებული ვარ, საკმაოდ მოგროვდება, საქართველო „მწერლების“ ნაკლებობას არასოდეს განიცდიდა. იცვლებოდა ფორმაციები, იცვლებოდა წყობილება, იცვლებოდნენ მწერლებიც. თუ ამ განცხადების ტექსტს „გავაანალიზებთ“ (რა დიდი ანალიზი და კვლევა ამას უნდა?), ესენი იმათი შთამომავლები არიან, 1937-იან და შემდგომ წლებში „დანოსებს“ რომ წერდნენ ლავრენტი ბერიას სახელზე. ახლაც ეგრეა, ოღონდ პირველ პირს უჩივიან მსოფლიო ე.წ. თანამეგობრობასთან, ანუ ახალი ტიპის ლავრენტი



პავლოვიჩთან. ტექსტი ნახეთ: სახელმწიფო ინტერესების ღალატიო, ამორალური განცხადებებისა და ქმედებების გამოო. არ აკონკრეტებენ, რაში გამოიხატება სახელმწიფო ინტერესების ღალატი. თურმე ირაკლი ღარიბაშვილი არ გამოხატავს ქართველი ხალხის ნებას და ინტერესებს. თურმე ქართველ ხალხს რუსეთთან ომი სურს, მაგრამ ირაკლი ღარიბაშვილი უშლის, ფრონტზე მოხალისეებს არ აგზავნის. დიახ, მამა-შვილ ბუღაძეებს უკრაინელი ხალხის გადარჩენა უნდათ და პრემიერ-მინისტრი წინ ეღობებათ. მწერალ ტორესა მოსის უკვდავი ნაწარმოების შექმნა აქვს გადაწყვეტილი, მერე ვინ აძლევს ამის საშუალებას? ირაკლი ღარიბაშვილმა დაუნიშნა სპეცრეისი? აუღო ბილეთი? გაატანა სასმელ-საჭმელი? არა! ჰოდა, ეს გახლავთ ამორალურობა და ამიტომაც უნდა გადადგეს!

როდესაც თანამედროვე ქართველ მწერლებზე საუბრობენ, პოლიტილოგ სოსო ცინცაძის მონაყოლი მახსენდება ხოლმე (ადრეც დავწერე, უნდა გავიმეორო), ჯაბა იოსელიანს რომ ჰკითხა, მავან და მავან ქურდს იცნობო? ჯაბა ჩაფიქრებულა, ისეთი ქურდის ასე და ისე, მე რომ არ ვიცნობო. იგივე აზრი მეც ხშირად მიტრიალებს ხოლმე, გამოიყვანენ ამ მწერლებს, ბესტსელერებს წერენო, „საბა“ მივანიჭეთო, „ლიტერაცო“, სხვადასხვა პრემიებიცო და ამ დროს მე არ ვიცნობ. არა, შეიძლება ეს ჩემი ბრალია, ისეტ ლიტერატურასა და იმნაირ მწერლობაზე გავიზარდე, კიკოლაშვილების, ჯირკვალიშვილებისა და ლდოკონონების ნაჯღაბნები რანაირად უნდა წავიკითხო?

ამ სტატიის წერა ვინმეს პოეზიისა თუ პროზის განსახილველად არ დამიწყია, ამათი მწ-



ერლობა და დამწერლობა არ გაიშვა ბოდბისხევის ბაზრამდე, ნეტავ სასვენი ნიშნების სწორად გამოყენებას მაინც ისწავლიდნენ როდისმე. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენს გულუბრყვილო გოგო-ბიჭებს ესენი მართლა მწერლები ჰგონია. ხელმოწერებს აგროვებენ, ირაკლი ღარიბაშვილი სახელმწიფო ინტერესების ღალატს ეწევა, უნდა გადადგესო. დასაწყისშიც გითხარით, ამათ ჯიშად მოსდგამთ ასე, სისხლში აქვთ გამჯდარი, თუ ადრე ხელისუფლებასთან ბოზობდნენ, ახლა ხელისუფლების წინააღმდეგ ბოზობენ საერთაშორისო ორგანიზაციებში.

გამიკვირდა სიის სათავეში „საპატიოდ“ ჩაწერილი ირაკლი კაკაბაძე, ანუ იაკი კაბე რომ ვნახე... არა, კობო აბე არა, ის იაპონელი იყო, ეს აქაურია, ტელევიზორში უცნაურ რაღაცებს ლაპარაკობს ხოლმე, ხშირად ჭედავს. თავიდან მეგონა, იაკი კაბე „ნაციონალებმა“ შეცდომაში შეიყვანეს, მაგრამ მოგვიანებით დავადგინე, რომ ირაკლი ღარიბაშვილი სძულს, მისი კუმირი დვით ზალკალიანია, ამჟამინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი. ნახეთ, რას წერს ბატონი კაბე „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე:

„ზალკალიანი ღარიბაშვილის მაგივრად. ბევრად უფრო ესმის საერთაშორისო ურთიერთობები. სასწრაფოდ“.

ვერ ვიტყვი, ირაკლი კაკაბაძე ბოლშევიკი მწერლების შთამომავალია-მეთქი, მაგრამ მას მაინც აქვს სოციალისტური მრისხანება... აგერ, გამოდის და ბრძანებას იძლევა, პრემიერად ზალკალიანი დანიშნეთ, თანაც სასწრაფო წესითო. რომ ჰკითხო, რა შენი იმის საქმეა, მოსახლეობის უმეტესობას ღარიბაშვილი მოსწონსო, თვალებს მრავალმნიშვნელოვნად



გადაატრიალებს, წარბებს წავკისის გორაკებივით შეჰყრის და დაიწყებს, რომ ადამიანი თავისი ბუნებით არ უნდა იყოს სირი. კი, ბატონო, არ უნდა იყოს, მაგრამ არის და შეე...კითხე თუ გინდა.

შევეშვათ იაკი კაბეს, ვინ არიან დანარჩენები? ეს ის „სასტავია“, რამდენიმე თვის წინ თეა წულუკიანმა ე.წ. ლიტერატურული კონკურსი რომ გაუუქმა და მერე ამ გაუქმებულებმა თეა წულუკიანს პროტესტი რომ გამოუცხადეს, ვითომ თავიანთი „ნაწარმოებები“ უკან რომ გაიტანეს და ლიტერატურის მოყვარულებს გულები დაგვწყვიტეს. მოგვიანებით გაირკვა, კულტურის მინისტრმა განაცხადა, ესენი დავით კეზერაშვილის დაარსებული „მეკონკურსეები“ არიან, ფული ბიუჯეტიდან მიაქვთ, მორჩა, დამთავრდა, ეგრე აღარ იქნებაო. მაშინ კოდალაშვილები და კიდევ ვიღაცები გაცოფდნენ, ეგ ფული ჩვენ გვეკუთვნის (თუ არ ვცდები, ნახევარ მილიონზე იყო საუბარი), დადგება დრო და დავიბრუნებთო. საიდან, რატომ და რისთვის ეკუთვნით ფული ბიუჯეტიდან ე.წ. ახალგაზრდა მწერლებს, რომელთაგან უმეტესობამ საპანსიო ასაკსაც კი გადააბიჯა? ან კი ნამუსი სად აქვთ, თუ კეზერაშვილის „სასტავში“ არიან, სულ მცირე, ხმა ხომ უნდა გაიკმინდონ? სხვათა შორის, 2012 წლის შემდეგ 10 წელიწადი გავიდა, კულტურის რამდენი მინისტრი მინისტრი გამოვიცვალეთ, აღარც კი მახსოვს, დაახლოებით ოთხი-ხუთი იქნებოდა, გაოგნებული ვარ, რანაირად გამოიარა კეზერაშვილის კონკურსმა, რანაირად ყვლიფეს ბიუჯეტი მისმა „მოწაფეებმა"? არ დაიჯერებთ, ისინი ისევ ქერის ორმოში არიან, მაჩაბლის ქუჩაზე მწერალთა სახლი რომ არის (სადაც გა-



ლაკტიონი, გოგლა ლეონიძე, კონსტანტინე გამსახურდია და სხვა ბუმბერაზები დადიოდნენ), ახლა ამ ჩიტირეკიებს უკავიათ. როგორც ამბობენ, ნახევარზე მეტი გაქირავებული აქვთ. მაინტერესებს, რატომ უნდა „იჩუქონ“ მწერლების სახლი ვიღაც ტიპებმა, სასვენი ნიშნების დასმაც რომ არ იციან ხეირიანად და ახალგაზრდული სტატუსით პენსიაზე გადიან?

2012 წლამდე მიხეილ სააკაშვილის „პადელნიკები“ იყვნენ, ყველა სიკეთით სარგებლობდნენ, გრიალებდნენ, წიგნებს წერდნენ, არავინ კითხულობდა, მაგრამ მაინც თარგმნიდნენ, უცხოეთში წიგნის ბაზრობებზე მიჰქონდათ, სტენდებზე ალაგებდნენ, მერე „მეშოკებში“ ტენიდნენ და მაკულატურის სახით აბარებდნენ. ჰონორარები და ხელფასები გარანტირებული ჰქონდათ, მათ წიგნებს წაიკითხავდნენ, არ წაიკითხავდნენ, ეკიდათ, მსუყე ლუკმები ჯამში მაინც ცვიოდა. როცა ხელისუფლება შეიცვალა, დაფინანსება დარჩათ... აბა, ეხლა პოლიტიკური მოსაზრებებისა გამო ჰაერში ხომ არ დატოვებდნენ? ამათი ხმის გამცემი არავინ აღმოჩნდა.

გამოლაგდნენ, იღლიებში ამოჩრილი თაბახები მტვრიან მაგიდებზე დაყარეს და გამოაცხადეს, ისევ ჩვენ უნდა ვიმწერლოთ, გვეკუთვნისო. თუმცა ეს ხელისუფლება უნდა წავიდეს, არ გვეპიტნავება, ისევ ის სჯობდა, ისევ ის გვინდა, უფრო კარგად ვიყავითო.

არა, მაინც რა სასაცილონი არიან ეს პენსიონერი ბალღები? ირაკლი ღარიბაშვილი მოღალატურ საქმიანობას ეწევა და უნდა გადადგეს, არ შეიძლება, ის ჩვენ წარმოგვადგენდესო. სანამ ესენი ამას იტყოდნენ, იგივე გამოაცხადა ჰელენ გოგიას ძე ხოშტარიამ.

ერთი ჰელენე ხოშტარიაა პოლიტიკოსი და მეორე კიდევ ესენი არიან მწერლები. ამჯერად ამით ვამთავრებ, ე.წ. მწერლებს, სასვენი ნიშნების გამოყენება რომ არ იციან, უახლოეს ხანში დავუბრუნდები.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# ცნობილი წინასწარმეტყველების აზრით, რა ელის მსოფლიოს ლურჯი ვეფხვის წელიწადში?

გასული წლის დეკემბერში, სხვადასხვა ქვეყნის წინასწარმეტყველები აქტიურად განიხილავდნენ რას მოგვიტანდა ლურჯი ვეფხვის წელიწადი. თანამედროვე, ინგლისელი ნათელმხილველი კრეიგ ჰამილტონ-პარკერის მტკიცებით წელს, კორონა უკან დაიხევს, მაგრამ წლის ბოლოს ახალი ვირუსი შეაშფოთებს მსოფლიოს. ეკონომიკური კრიზისი მოიმატებს. იაპონიაში იქნება მიწისძვრა. ვულკანი გაიღვიძებს. ტუნდრაში მეტეორი ჩამოვარდება. მზეზე აფეთქების შედეგად ინტერნეტი გაითიშება და სხვა საშინელებებთან ერთად მან იწინასწარმეტველა ომი რომელიც არაერთ ქვეყანას ჩაითრევს.

თანამედროვე წინასწარმეტველმა, მათემატიკოსმა სიდიგა აფგანამ კატაკლიზმები, ეკონომიკური კრიზისი და სხვა უარყოფითი



სიდიგა აფგანა

მოვლენები რომელიც მსოფლიოში მოხდება დაადასტურა, მაგრამ მსოფლიო ომის განვითარება უარყო... მესამე მსოფლიო ომზე უამრავი წინასწარმეტველება არსებობს. მეთოთხმეტე საუკუნის ცნობილმა წინასწარმეტყველმა რანო ნერომ მესამე მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით იწინასწარმეტყველა, რომ დაიწყება ისეთი ომი რომლის შედეგადაც ჩრდილოეთსა და სამხრეთში დადნება თოვლი და ყინული. წყალი წალეკავს ხმელეთის ნახევარს, ბევრი ქალაქი წყლის ქვეშ აღმოჩნდება. ადამიანებს კი მზის შუქის გამო სხეულზე ლაქები გაუჩნდებათო.

ასევე, მეთოთხმეტე საუკუნის ცნობილმა ნათელმხილველმა ჰარაცელსმა იწინასწარმეტყველა, რომ მისი სიკვდილიდან ხუთასი წლის შემდეგ დედამიწას საშიშროება სამხრეთიდან დაემუქრებაო. მეთოთხმეტე საუკუნის ბავარიელი წიასწარმეტყველი ალოის ირმაიერის წინაწარმეტყველებები ძირითადად მესამე მსოფლიო ომის დაწყებას და მის შედეგებს ეხება. „ომი გამთენიისას დაიწყება და მოვა მოულოდნელად. ვხედავ აღმოსავლეთიდან მოფრინავენ ციური ხომალდები და რაღაცას აგდებენ წყლებში. წყალი იმ სიმაღლეეზე აიწევა, რომ ყველაფერს წალეკავს. კუნძულები ჩაიძირება. ომის დროს სიბნელე ჩამოწვება, რომელიც სამოცდათორმეტი საათი გაგრძელდება". ამ საუკუნეების ცნობილი ნათელმხილველები იმაზე მიუთითებდნენ, რომ ამ დროს ერთადერთი სინათლე იქნება ანთებული სანთლის შუქი. ამ კატაკლიზმების შემდეგ დაისადგურებს ხანგრძლივი ბედნიერება, ვინც ცოცხლები დარჩებიან, ბედნიერები იქნებიან თუ ღმერთს იწამებენ და ჯიუტად არ დარჩებიან თავიანთ ცოდვებში. მეთექვსმეტე საუკუნის ფრანგი მისტიკოსი და ექიმი — ასტრონომი მიშელ ნოსტრადამუსი, ისტორიაში შევიდა, როგორც ყველაზე დიდი წინასწარმეტყველი.

ნოსტრადამუსის დაშიფრული კატრენები და ცენტურიები უამრავ წინასწარმეტყველებას შეიცავს, რომელთა ნაწილი უკვე ახდა. მაგალითად, ნაპოლეონისა და ჰიტლერის აღზევება. 2001 წელს ნიუ იორკის ტერაქტი. წინაწარმეტყველი წერდა, რომ "ზეცას ცეცხლი მოკიდებოდა ორმოცდახუთ გრადუსზე. ცეცხლი მოიუხალოვდება დიდებულ ქალაქს, დიდი, ყოვლისმომცველი ალი ავარდება ზევით".

ბირთვული აფეთქების შედეგად გაქრება მსოფლიოს დიდი ქალაქები, მოხდება ატმოსფეროს დაბინძურება. თუ სპეციალისტების მიერ ნოსტრადამუსის ტექსტის გაშიფრულ ვარიანტს დავუჯერებთ, 2022 წელი მღელვარებით სავსე იქნება. პირველი ნაწილი მიგრაციას და ომს ეხება. ომი გამოიწვევს შიმშილსა და ხალხების მიგრაციას. ტექსტში, მიგრაციის ნაწილი უფრო დაკონკრეტებულია და იკითხება, რომ ევროპის სანაპიროებზე გადმოვლენ მიგრანტები, იმაზე შვიდჯერ მეტი, რაც აქამდე ყოფილა და მათ, ვინც სიკვდილს გადაურჩება, ან გაქცევას ვერ მოახერხებს, დაატუსაღებენ. შემდეგი ნაწილი კლიმატს ეხება. შესაძლოა დაიწყოს ომი, რომელიც კლიმატური ცვლილებებით იქნება პროვოცირებული. უფრო კონკრეტულად კი, კლიმატური ცვლილებების გამო, შესაძლოა შემცირდეს სასიცოცხლოდ საჭირო რესურსები რომელიმე ქვეყანაში და შესაბამისად დაარტყას მეზობელ ქვეყანას.



ისააკ ნიუტონი



ვანგა





2022 წლის მესამე წინასწარმეტყველება, ევროკავშირის შესახებაა. კავშირმა, რომელიც 1957 წელს შეიქმნა, შესაძლოა 2022 წელს დაშლა დაიწყოს და „ბრექსიტი" ამის პირველი ნიშანი გახლდათ. ნოსტრადამუსის ყურადღების ცენტრში პარიზიც მოექცა. ტექსტის მიხედვით გაურკვეველია, რატომ შეიძლება გახდეს პარიზი ომის ეპიცენტრი, რომელიც შესაძლოა გარე სამყაროს სრულიად მოწყვეტილი აღმოჩნდეს. მომდევნო წინასწარმეტყველება ჩრდილოეთ კორეის ლიდერის კიმ ჩენ ინის სიკვდილს ეხება, რომელსაც „ტახტზე", სავარაუდოდ, მისივე ოჯახის წარმომადგენელი შეცვლის.

2022 წლის წინასწარმეტყველები იაპონიაში სავარაუდო მიწისძვრით მთავრდება, რომელსაც დიდი მატერიალური ზარალი მოჰყვება. ფრანგმა წინასწარმეტყველმა 2022 წელს ბუნებიდან მომდინარე საფრთხეები, კატაკლიზმების სახით დაინახა, ხოლო ადამიანებს შორის, ომსა და კონფლიქტებს პროგნოზირებს. ნათელმხილველმა ჩრდილოეთ ამერიკაში ძლიერი მიწისძვრა იწინასწარმეტყველა, რომლის შედეგებიც მთელ კონტინენტზე მოახდენს გავლენას და ადამიანები ჰუმანიტარული კატასტროფის წინაშე აღმოჩნდებიან. თუ, წინასწარმეტყველებს დაუჯერებთ, მესამე მსოფლიო ომის შემდეგ დედამიწაზე სიცოცხლე გაგრძელდება.

სამყაროს დასასრულზე ერთ-ერთმა პირველმა, ცნობილმა მეცნიერმა, ფიზიკის და ასტრონომიის



ნოსტრადამუსი

მამამ ისააკ ნიუტონმა იწინაწარმეტყველა.

მან 1704 წელს თავისი ნაშრომი გამოაქვეყნა, სადაც ამტკიცებდა, რომ დედამიწა 2060 წელს დაიღუპება. დასკვნა ნიუტონმა დანიელ წინაწარმეტყველის წიგნზე დაყრდნობით გააკეთა, რომ კაცობრიობა კარლოს დიდის მიერ 800 წლის შექმნილი იმპერიის შემდეგ კიდევ 1260 წელი იარსებებდა. მისი გამოთვლებით ყველაფერს მოიცავს უკუნეთი და ეს 2012-დან 2060 წლებში მოხდება. ბრიტანელმა მეცნიერებმა დაადასტურეს მისი თეორია, და განაცხადეს, რომ სამყაროს დასასრული შეიძლება დადგეს 2065 წელს. ამ წელს დედამიწას გვერდით ჩაუვლის უზარმაზარი ასტეროიდი და თუ ის მას შეეხება დედამიწაზე დაიწყება ბირთვული ზამთარი. კიდევ ერთი საფრთხე ასტეროიდის სახით დედამიწას ემუქრება 2036 წელს. დედამიწაზე შეიძლება დაიწყოს სხვადასხვა ბუნებრივი კატაკლიზმები.

მეოცე საუკუნის ცნობილ წინაწარმეტყველს მამა პიოს, რომელიც სიცოცხლის ბოლმდე ცხოვრობდა როტონდის მონასტერში, 1918 წლის სექტემბერში, ქრისტეს ჯვარცმის წინ ლოცვისას უეცრად გაუჩნდა სტიგმატები ხელეზე და ტერფებზე. იგი ამტკიცებდა, რომ 1957 წელს იხილა უფალი იესო ქრისტე. მესამე მსოფლიო ომთან დაკავშირებით კი იწინასწარმეტყველა, რომ ერთ ღამეს უფრო მეტი ადამიანი დაიღუპება, ვიდრე ორ მსოფლიო ომშიო.

ვანგას წინაწარმეტყველებით კი რადიაქტიული ნალექების ჭარბი დაგროვების გამო, დედამიწის ჩრდილოეთ ნაწილში სრულიად განადგურდება ფლორა და ფაუნა. ამ კატაკლიზმების შემდეგ მუსულმანური სამყარო ქიმიურ ომს დაიწყებს. ვანგა მსოფლიოში საბედისწერო, დამანგრეველ მოვლენებს წინასწარმეტყველებს. თუმცა, მისივე თქმით, შეიძლება პოზიტიური ცვლილებებიც განხორციელდეს და 2022 წელს კაცობრიობა განვითარების ახალ საფეხურზე გადავიდეს. ვანგა ამბობს, რომ მსოფლიოს გამოცდა ელის. მესამე მსოფლიო ომის საფრთხე, ბუნების რისხვა, რასაც მოჰყვება ცუნამი, მიწისძვრა და სხვა საშინელებები, თითქოს უკვე კლიშედ გადაიქცა. მაგრამ, ვანგას 2022 წლის წინასწარმეტყველების მიხედვით, ყველაზე ცუდი რამ, რაც შეიძლებ მოხდეს, ეს ადამიანების მორალურ ხასიათსა და ქცევას ეხება. დაიწყება ომები პრივილეგიებისთვის, იქნება ძარცვა.

მოგებისა და გამდიდრების სურვილი ყველა ზღვარს გადაკვეთს. მილიონობით ადამიანი საკუთარ ადამიანურ სახეს დაკარგავს და ბანდიტებად და მკვლელებად გადაიქცევიან. დედამიწიდან სამართლიანობის ცნება გაქრება. ბევრისთვის კი ცხოვრება პურის ნატეხისთვის ბრძოლად გადაიქცევა... თხუთმეტი წლის ინდოელი აბიგია ანანდიმ მთელ პლანეტაზე კორონავირუსის გავრცელება ერთი წლით ადრე გვაუწყა და მალევე გაითქვა სახელი. მან პირდაპირ თქვა, რომ 2019 წლის ნოემბრიდან 2020 წლის გაზაფხულისთვის საშიში ვირუსი გამოჩნდებოდა, რომლის წინააღმდეგაც არსებული წამლები უსარგებლო იქნებოდა. უფრო მეტიც, ბიჭი არწმუნებდა საზოგადოებას, რომ კაცობრიობას რამდენიმე წელი გაუჭირდებოდა ამ დაავადებასთან ბრძოლა.

მაშინ იუთუბზე მის მიერ გავრცელებულ ვიდეოს ასე ერქვა: „სერიოზული საფრთხე მსოფლიოსთვის, 2019 წლის ნოემბრიდან 2020 წლის აპრილამდე". ის ამბობდა, რომ სერიოზული კრიზისი დადგებოდა და აზუსტებდა, რომ ჩინეთი და „მდიდარი" ქვეყნები „ვირუსით" ყველაზე მეტად დაზარალდებოდნენ. მერე ისიც იწინასწარმეტყველა, რომ პანდემია ცოტათი ჩაცხრებოდა 2020 წლის ხუთი სექტემბრისთვის, თუმცა ახალი ტალღა მას კვლავ გაააქტიურებდა. ამ ცნობილი წინასწარმეტყველების მერე ნათელმხილველის აზრს ბევრი უსმენს. ცოტა ხნის წინ მან გამოაცხადა, თუ როგორ ხედავს 2022 წელს.

აბიგიას თქმით, წელს აუცილებლად მოხდება გრანდიოზული მოვლენები. 2022 წელი შევა ისტორიაში, თუმცა საამისოდ გარკვეულ სირთულეებთან შეგუება მოუწევთ ადამიანებს „2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის აპრილამდე პერიოდი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. ის გავლენას მოახდენს შემდგომ 400 წელზე".

**მარიამ ჯანჯღავა**
511 17 73 72

# „რა უთქვამს, რა მოუჩმახავს...“



## რეპლიკა ნინო ბექიშვილის უდიერ გამოხდომაზე

„ვეფხისტყაოსანში“ არის ასეთი სტრიქონი: „რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა ჭორი მოუწერია?!“ – ეხლაც, ჩვენ დროში, ბევრი ვინმე რამეს „ჩმახავს“ და ათას ჭორს და სიცრუეს აფრქვევს ფეიზბუკებიდან, თუ ტელე ეკრანებიდან...

მე დღემდე არ ვიცოდი, რომ ერთ-ერთი მათგანი და, სხვებზე „აღმატებული“ თავისი ბილწსიტყვაობით, ყოფილა ჩვენი უახლოესი მეგობრის, ჩვენი ძმის – აწ განსვენებული პოეტის – თედო ბექიშვილის ქალიშვილი: ნინო ბექიშვილი: მთიულეთის სოფელ ნაღვარევის წყლით და ჰაერით ნაკვები... რა დაემართა, რამ გადააგვარა და გაალიბერასტა ასე ზნე კეთილი ოჯახის შვილი?!..

...ამ „კორონიან დღეებში“, ნაცების მიერ მიტაცებული მწერალთა სახლის „ბუნგალოდან“ გამომხტარა და, რატომღაც პირდაპირ **ელიზბარ ჯაველიძე** ამოუღია მიზანში: კაცი მწიგნობარი, მწერალი, ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი: „ნიუჟელი ისევ ცოცხალია? ნე მოჟეტ ბიტო!...“ ეტყობა მას და ნატაშა ლომოურის ბუნგალოს კლონებს არ ეპიტნავებათ ბატონი ჯაველიძის მწარე, მარილიანი სიტყვა და სიმართლე, მაგრამ ტყუილად ჰგონიათ, რომ მათი უტიფრობის დამსჯელი და შემაკავებელი ერის სულიერი სინერგია მოკვდება, ან სინდის-ნამუსს ისე ჩაეძინება, რომ ფეხზე ვერ წამოდგეს...

არც უფროსი იციან, არც უმცროსი, არც სახელმწიფო მოღვაწე... პატრიარქსაც კი არ ინდობენ! აფურთხებენ ყველას და ყველაფერს: სამშობლოს, მშობელს, ენას, ეკლესიას... წინაპრების რჯულს...

„ირაკლი ღარიბაშვილმა გააჯვას აქედანო?!“ – ესეც დაუწერია ფეისბუკში ბექიშვილების ამ სამარცვინო ღლავს ... დააკვირდით მის ტერმინოლოგიას, „სიტყვათა ამ ვულგალურ ფუღუროს,“ როგორ უდიერად „ამკობს“ საკუთარი მამის თანამედროვეთ, თანამებრძოლთ და მის მეგობრებს, რომელთაც თავგანწირული ბრძოლის და სისხლის ფასად შეძლეს საბჭოთა დიქტაურის დამხზობა და რუსული ჯარის და მაშინდელი „პროლეტკულტელთა“ გაყვანა საქართველოდან! ისინი კი კვლავ უკან მოგვიბრუნდნენ ჩვენი შვილების ამ უგვანო თაობის (ნინო ბექიშვილების, ლომოურების თუ შამუგიების) სახით და მიშისტების სახელით – ეს გაუგებარი აბსურდი და ბედის ირონიაა...

თუ რა დრამატულია ეს მოვლენა, ამის ერთ მაგალითს (საზოგადოების განსასჯელად) მოვიტან აქ: გუშინ ჩემმა მეგობარმა მწერალმა დამირეკა და შემომჩივლა: „ჯემალ, ძმაო, იცი ვინ არის ეგ ნინო ბექიშვილი? გახსოვს მე, შენ, გივი ალხაზიშვილი, კობა არაბული, შოთა ქავთარაძე ირაკლი ვაშაყმაძე და კიდევ რამდენიმე მწერალი, სამშობიაროსთან რომ ვიდექით და თედოს ბავშვის დაბადებას ველოდებოდით სულმოუთქმელად? ეგ, ის ბავშვია, მაშინ რომ დაიბადა... რას მოვესწარით: ეს ის ნინო ბექიშვილია, რომლის გაჩენასაც სიხარულის ყიჟინთ შევხვდით... არ არის ბედის ირონია? ...ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ მამამისს და მის მეგობრებს (და საკუთარ ქვეყანას) ასეთ შეურაცხყოფას მიაყენებდა?

ყველაფერი გუშინდელივით თვალწინ დამიდგა: დიახ ეს მართლაც ასე იყო!! შემდეგ ეს ბავშვი გაიზარდა: „განსხვა, განძღა“ – მტრის მზაკვარ ხელში აღმოჩნდა და კატასავით მიახტა მშობელი მამის თანამედროვეს, სამშობლოს უძინარ მცველს და კაწარი ჩამოჰკრა... ეს მართლაც



დიდი სირცხვილია და, სირცხვილზე რაღაც უარესი ავადმყოფობა, რომელიც სააკაშვილსგან მოწამლულ ჩვენი შვილების თაობას გაუჩნდა!..

ელიზბარ ჯაველიძე, ალბათ, არ იკადრებს უპასუხოს ამ ცუდად ნაზარდი ქალის ლეყეცობას, ალბათ გული კი ეტკინება უმადური თაობის უდიერობით... ბექიშვილის ქალს კი – თან გაჰყვება საკუთარი სირცხვილის ტალახში დიდხანს ყოფნის სასჯელი.

**ჯემალ დავლიანიძე**



# გუჯა ბურდული – მთის არწივი

წუთისოფლიდან წავიდა კიდევ ერთი რჩეული ქართველი: მთის არწივი – გუჯა ბურდული... მთიულეთის გვართა კავშირის წინამძღოლი, იმ ხევისბერთა მემკვიდრე, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე მთიულეთის დიდი ლომისის წმინდა გიორგის სალოცავს განაგებდნენ და დღემდე განაგებენ...

ის იყო უაღრესად მორწმუნე, ღვთისმოსავი კაცი... ზნეობრივი, დახვეწილი პატრიოტი, მამულიშვილი: საკუთარი სამშობლოს ნამდვილი სარანგი!

გუჯა ბურდული იყო გამოჩენილი (შესანიშნავი) მსახიობი - მისი როლი ყველა ფილმში იყო რაინდული, სულიერი, მაღალზნეობრივი ნიშნით აღბეჭდილი...

თემურ ბაბლუანის „ბეღურების გადაფრენიდან“ დაწყებული, ბუბა ხოტივარის „დიმიტრი II“-ით დამთავრებული, მანამდეც და იმის მერეც, მრავალი არტისტული სახის შემქმნელი!

ის გარეგნულადაც იყო წარმოსადეგი, ეფექტური და გამოსახავდა ძველი ქართველი მეომრის პროტოტიპს (მისი შემოქმედება ცალკე საგანგებო წერილის თემაა). ამასთანავე გუჯა ბურდული გახლდათ მწერალთა აკადემიის ერთერთი დამფუძნებელი, - აკადემიის ხელოვანთა და მწიგნობართა საბჭოს წევრი.

ჩვენი ლიტერატურული, კულტურული საზოგადოება, მწერალთა ეროვნული აკადემია, გამოხატავს დიდ მწუხარებას და უსამძიმრებს ქართველ ერს, მის ახლო ნათესავებსა და ოჯახს ამ დიდებული ვაჟკაცისა და ხელოვანის გარდაცვალებას.

ნათელი ადგეს მის სულს!

**საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის სახელით:**

კობა არაბული, ელიზბარ ჯაველიძე, რეზო კვესელავა, ვახტანგ ხარჩილავა, გური ოტობაია, ავთანდილ არაბული, გიზო ზარნაძე, ვაჟა ხორნაული, ზაურ კალანდია, როსტომ მიგრიაული, თენგიზ ავსაჯანიშვილი, ირაკლი ვაშაყმაძე, ნაპო კაკრიაშვილი, ზელიმხან მაღრაძე, ანზორ სიფრაშვილი, ვაჟა ჩორდელი, ჯემალ დავლიანიძე, ამირან დოლიძე, გურამ პეტრიაშვილი, ზურაბ თორია, ჯუბა ღებელი, ირმა ჯაჭვლიანი, ვანო ჩხიკვაძე, მერაბ შათირიშვილი, ლაშა გვასალია.

# ძნელია იყო ქართველი, განსაკუთრებით ქალი



***სიყვარულით და პატივისცემით ვუძღვნი ამ ლექსს ქალბატონ ДЕНИЗА СУМБАДЗЕ - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს.***

*ვლადიმერ ჭანტურიძე.*

ძნელია, იყო ქართველი,
განსაკუთრებით, ქალი,
მძიმე ტვირთია ნაზ მხრებზე,
ღვთისა და ქვეყნის ვალი.

შვილები უნდა აღზარდო,
არ მოაცილო თვალი,
ქმარს და დედ-მამას ეფერო,
დროზე მიართვა წყალი.

გადაღლილს ისე გიჭირდეს,
გულში გინდოდეს ტირილი,
სტუმართან წარბი გაშლილი,
სახეზე — მუდამ ღიმილი.

თვით ქრისტემ სიზმრად გაკურთხა,
სამშობლოს ემსახურეო,
შენ უფლის ნაანდერძევი,
პირნათლად შეასრულეო!

ჩაწვდი ძველბერძნულ ანალებს,
მთაწმინდელს უნთე სანთელი,
იმედად მოგვეც ქართველებს,
ქვეყნის მომავლის ნათელი.

პრეზიდენტ ტრამპს და გაეროს
ასმინე ქართველთ ძახილი,
უდრტვინველად გადმოიბარე,
თვით ქართვლის დედის მახვილი.

შენს ლექციებზე სტუდენტებს,
რად უბრწყინავთო თვალები
მშობლიურ უნივერსტეტის
გამოგიხურეს კარები...

ხმა მივაწვდინოთ პრეზიდენტს,
მით უფრო, ისიც ქალია,
სიმართლის მართლად გარჩევა,
პირდაპირ მისი ვალია!

თუ მაინც ვერ დაგაფასეთ —
ხარ ჩვენი ქვეყნის თვალი, —
აღარ გვქონია ქვეყანა,
ჩვენვე მიგვიძღვის ბრალი...

# ჭრელი გვერდი



## ქაღალდის ბანკნოტების ისტორია

ბანკნოტების სიცოცხლის ხანგრძლივობა სხვადასხვაგვარია. მაგალითად, 50-100-დოლარიანი კუპიურები 9 წელს „ცოცხლობს“, რადგან ყოველდღიურ ბრუნვაში მათ საკმაოდ იშვიათად მოიხმარენ. ამერიკელები 100 დოლარამდე ღირებულების საქონლის შეძენისას საკრედიტო ბარათებს იყენებენ.

ოქსფორდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა რამდენიმე წლის წინათ შეისწავლეს ევროპის ქვეყნების ბანკნოტები მათზე მიკრობების არსებობის კუთხით. აღმოჩნდა, რომ საშუალოსტატისტიკური ევროპულ კუპიურაზე 26 ათასზე მეტი ბაქტერია „ბინადრობს“. რეკორდსმენი გახდა დანიური კრონა, რომელზეც 40 ათასზე მეტი ბაქტერია „ცხოვრობს“, რესპექტაბელურმა შვეიცარიულმა ფრანკმა თავშესაფარი 32 ათას ბაქტერიას მისცა. ყველაზე მეტი ბაქტერია ჩინურ ბანკნოტზე – 100-იუანიანზე ბინადრობს – დაახლოებით 180 000. მიკრობიოლოგები კუპიურებზე პოულობენ ნაწლავის ჩხირებს, ობს, სტფილოკოკებს, ტუბერკულოზის, ტიფის, ვენერიული დაავადებების გამომწვევ მიკრობებს და ა. შ. მართალია, ამით დაავადება შეუძლებელია, მაგრამ მეცნიერები რეკომენდაციებს იძლევიან, ხშირად დავიბანოთ ხელები. თუმცა, ჟენევის უნივერსიტეტის მეცნიერებმა აღმოჩინეს, რომ გრიპის ვირუსი ოთახის ტემპერატურაზე 14 დღის განმავლობაში ინარჩუნებს დასნებოვნების უნარს.

სტერილური აღმოჩნდა საერთო ევროპული ფულის ბანკნოტები. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ევრო სპეციალური ხსნარით მუშავდება, რაც მიკრობების გავრცელებას უშლის ხელს.

ამერიკელი მეცნიერების გამოკვლევების თანახმად, აშშ-ში ბრუნვაში მყოფ დოლარების 90%-ზე კოკაინის კვალია. ეს ნივთიერება კუპიურებზე ან ნარკოგარიგებების, ან კუპიურის საშუალებით ნარკოტიკის მოხმარების დროს ხდება. ყველაზე მეტი ნარკოტიკი 50 და 100-დოლარიან ბანკნოტებზეა.

ამერიკული დოლარები ყველაზე მეტ ნარკოტიკულ ნივთიერებებს შეიცავს, ხოლო ყველაზე „უბიწო“ იაპონური იენაა – „ამომავალი ქვეყნის“ კუპიურების მხოლოდ 12 პროცენტზე აღინიშნება ნარკოტიკების კვალი.



1 მლნ აშშ დოლარი 100-კუპიურიანი ბანკნოტებით დაახლოებით 10 კგ-ს იწონის. ამერიკელები თვლიან, რომ, რაც უფრო მეტს იწონის მილიონი, უფრო ნაკლები კორუფციაა ქვეყანში, სწორედ ამიტომ 100-დოლარიანი კუპიურა აშშ-ში ყველაზე მაღალი ნომინალური ბანკნოტია.

სხვადასხვა ქვეყანაში ფულის განადგურების სხვადასხვა ხერხი არსებობს: ზოგ ქვეყანაში მათ წვრილ ზოლებად ჭრიან და შემდეგ მათგან სამშენებლო მასალებს, სასუქს, ნაგვის ურნებს, ტუალეტის ქაღალდს და... საფლავზე დასადგმელ ძეგლებსაც კი ამზადებენ...

## კობრას ეფექტი

როგორც ცნობილია, ინდოეთი დიდი ხნის განმავლობაში ბრიტანეთის კოლონია გახლდათ. XIX საუკუნეში ქვეყნის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით კობრა გავრცელდა და ინგლისელებმა მათი რაოდენობის შემცირება გადაწყვიტეს, რადგან ისინი საცხოვრებელ სახლებშიც კი შედიოდნენ (სწორედ ამ პერიოდში დაწერა რედიარდ კიპლინგმა „რიკი-ტიკი-ტავი“ და „ჯუნგლების წიგნი“). ბრიტანელი ზედამხედველები თითოეული მოკლული კობრისთვის გასამრჯელოს იძლეოდნენ და ინდუსებმა კობრების მასიური განადგურება დაიწყეს. მალე ისინი თითქმის განადგურდა და თადარიგიანმა ინდუსებმა სახლში დაიწყეს მათი მომრავლება და ფულის მიღების მიზნით გამოყენება. ხელისუფლებამ, გაიგო რა ადგილობრივი მოსახლეობის აფერის შესახებ, გასამრჯელოს გაცემაზე უარი განაცხადა. მაშინ ადგილობრივებმა კობრები ქუჩაში გაუშვეს და მათი რაოდენობა უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე აქციის დაწყებისას. მას შემდეგ გამოთქმა „კობრის ეფექტი“ გამოიყენება იმ ზომების აღსანიშნავად, რომელთა შედეგადაც სიტუაცია გამოკეთების ნაცვლად გაუარესდა.

## „ამერიკის ხმა“ აკრძალვა ამერიკაში

რადიოსადგური „ამერიკის ხმა“ 1942 წელს შეიქმნა ნაცისტური პროპაგანდის საწინააღმდეგოდ. ომის დასასრულისთვის ის მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მაუწყებლობდა. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ რადიოსადგური აშშ-სსრ კავშირის ურთიერთდაპირისპირების იარაღად იქცა. იმის შიშით, რომ რიგითი ამერიკელები დეზინფორმაციის სამიზნედ შეიძლებოდა ქცეულიყვნენ, 1948 წელს ამერიკის კონგრესმა მიიღო სმიტი-მუნდტის კანონი. რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტს უკრძალავდა, „ამერიკის ხმას“, „რადიო თავისუფლებას“ და მასმედიის ნებისმიერ საშუალებას, პირდაპირ განეხორციელებინა მაუწყებლობა ამერიკის მოსახლეობისთვის. ეს კანონი მხოლოდ 2013 წელს გაუქმდა.

## ჩხუბისთავი პითაგორა

ზოგიერთ სახელგანთქმულ მეცნიერს ერთი შეხედვით მათთვის შეუფერებელი გატაცებები ჰქონდათ. მაგალითად, ნილს ბორი ქვეყნის ფეხბურთის ნაციონალური ნაკრების შემადგენლობაში თამაშობდა, პითაგორა კი მუშტით ბრძოლის პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახლდათ! მენდელეევი ჩემოდნებს ამზადებდა, თანაც ისეთ ხარისხიანს, რომ მათ მსურველებს ბოლო არ უჩანდა... ფიზიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატს ლევ ლანდაუს კი ძალზე უყვარდა პასეანსების გაშლა. იგი ამბობდა: „ეს თქვენ ფიზიკა არ გაგონოთ. აქ ფიქრია საჭირო“...

## საინტერესო ფაქტები „ქინდერ სიურპრიზის“ შესახებ

„ქინდერ სიურპრიზი“ შოკოლადის კვერცხის ფორმის საკონდიტრო ნაწარმია, რომელშიც პატარა სათამაშო დევს და ბავშვებისთვის არის განკუთვნილი.

შოკოლადის კვერცხის სიურპრიზები პატარებს 1972 წლიდან ახარებს. ის შვეიცარიელმა დიზაინერმა ჰენრი როტმა გამოიგონა – სწორედ მას მოუვიდა იდეა ქინდერ სიურპრიზში სათამაშოს ჩადების შესახებ.




ცხელი ქვეყნებისთვის ქინდერ სიურპრიზს ფირმა „Ferrero“ უფრო მყარი შოკოლადისგან ამზადებს და მას „ქინდერ ჯოი“ ჰქვია.

2007 წელს Bay-ს აუქციონზე ქინდერ სიურპრიზის სათამაშოების კოლექცია, რომელიც 90 000 ერთეულისგან შედგებოდა, 30 000 ევროდ გაიყიდა.

ქინდერ სიურპრიზის გარდა კომპანია „Ferrero“ აწარმოებს კანფეტებს, დრაჟეს, ნამცხვრებს, პასტას, შოკოლადს, ბატონჩიკებს, როგორიცაა: Ferrero, Raffaello, Fiesta, Nutella, Duplo და სხვ.

ქინდერ სიურპრიზის გაყიდვა აკრძალულია აშშ-ში, სადაც, 1938 წელს მიღებული ფედერალური კანონის თანახმად, კვებისთვის გამოუსადეგარი ნივთების საკვებ პროდუქტში მოთავსება აკრძალულია.

არსებობის 30 წლის მანძილზე მსოფლიოში 30 მილიარდი შოკოლადის კვერცხია გაყიდული.

## პატარების აღზრდა ტელეპათიის საშუალებით

მელია პატარებს სოროში ტოვებს და საკვების მოსაძებნად რამდენიმე კილომეტრის მოშორებითაც კი უწევს წასვლა. პატარები გარეთ გამოდიან, თამაშობენ, ხშირად „სახლიდან“ მოშორებით დაუშვებელ მანძილზეც კი მიდიან.

ამის მერე რაღაც უცნაურობა ხდება. დედა-მელა რაღაცნაირად ხვდება, რომ მისი პატარები „ცუდად იქცევიან“. იგი ჩერდება და საკუთარი სოროსკენ იწყებს ყურებას. რამდენიმე წუთში მელაკუდები მშვიდდებიან, სოროში ძვრებიან, დედა-მელია კი მშვიდად აგრძელებს გზას.

დღემდე ვერავინ ამოიცნო, როგორ ახერხებს თავისი შვილების დამშვიდებას ასეთ შორ მანძილზე დედა-მელია.

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99